№ 2872
ოთხშაბათი,
27 ივლისი

ცნობის ფურცელი

№ 2872
ოთხშაბათი,
27 ივლისი

გაზეთის ფასი: წლიწადში—6 მ. „თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით. პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში ვანკის დიდ ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კომპ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს, ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 37.

მარიამ ნიკოლოზის ასული, ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე, სოფიო დავითის ასული ფურცელაძენი და ნინო კონსტანტინეს ასული ნატროევისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა, მეგობართა და ნაცნობთ გარდაცვალებას შემდეგ მძიმე და ხან მოკლე ავადმყოფობისა პირველი ძვირფასის და დაუვიწყარის ქმრისა, მეორე და მეოთხე მამისა და მესამე მამამთილის

კონსტანტინე ლუარსაბის-ძის ფურცელაძისას.

23-ს ამა ივლისს ნაშუადღევის 3½ საათზე ს. მერეთში. გამოსვენება იქნება ხუთშაბათს, 28-ს ამა ივლისს დილის 9 საათზე ს. მერეთში, გორის მაზრა. ცალკე მოწვევა არ იქნება. (2—99—2)

30 ივლისს სოფელ მაწევანში გარდახდილ იქნება წლის წირვა

ალექსანდრე ივანეს ძის საგინაშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც ქვრივი მისი ელისაბედ იოსების ასული ქალებითურთ აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ. (1—1)

პოლაკ და ამხ.

ტფილისი ბაქო ბათუმი
ადრესი დეპეშისათვის: ФИЛПОЛАКЪ.
ადრესი ტფილისისათვის: სოლოლაკის ქუჩა, № 3. ტელეფ. № 27.

სატეხნიკო განყოფილება.

✦ წარმომადგენელნი: ✦

ს ელექტრონო ქარხნის „ვოლტიხა" რეველში.
ს აქციონერო ამხანაგობისა „ნობელ" მოტორები დიზელისა.
ნავთის მოტორების „ვულკანის" სისტემისა.
წყლის ტიურბინები სინგრუნ ეპინალის სისტემისა—საფრანგეთი.
ტერმოს სატეხნიკო სახლის გათბობის სისტემისა.—ბაქო და სხვა და სხვა.

ვკისრულობთ ქარხნებისა და ფაბრიკების სრულ მოწყობას. დაწვრილებით ცნობები და ხარჯთ-აღრიცხვა მსურველს მოთხოვნილებისათანავე გაეგზავნება. (3—3)

იშვიათი ვაჭრობა

„ძმ. აპოფჯანოვების და სარქისიანცის"

ამხანაგობა

ამით აცნობებს ტფილისის პატივცემულ საზოგადოებას, რომ რადგან ბ-ნი სარქისიანი ამხანაგობიდან გამოვიდა და რადგან საქმის მოწესრიგებაა საჭირო, ამა თვის 11-დან დაინიშნა

ვაჭრობა

მაღაზიაში, რომელიც მიხეილის ხიდზეა, ს. ქამოევის სახლში. ამხანაგობის მაღაზიასა და საწყობში არის საქონელი.

100,000 მანეთისა.

მთელი საქონელი, [illegible] საკუთარ ქარხანაში ოდესას, დაჯდა ისე იაფად, რომ შესაძლებელი ხდება ამაზე ნაკლები ფასები დაინიშნოს, რასაც [illegible]
საქონელი თავის თვისებით, სიკარგით და სიიაფით ყოველ კონკურენციის გარეშეა.
ამხანაგობა სთხოვს მუშტარს ნუ შეაწუხებს ნაყიდ საქონლის მეტის გადაკეთებით.

ფასები შეუვაჭრებლად.

ამხანაგობა სთხოვს პატივცემულ საზოგადოებას კეთილ ინებოს და თვითონ მობრძანდეს. (0—66)

გაიღო რესტორანი ბაღით

„კავკაზი"

(მეორე სახლი ფუნიკულერიდან)
მამა-დავითის გორაზე, გრილად მოწყობილი კაბინეტებით.

მზადდება ევროპიული და აზიური სადილი.
ორი ბლუდი, 1 რუმკა არაყი ან ღვინო . . 50 კ.
სამი ბლუდი, არყით ან ღვინით . . . . 75 კ.
ოთხი ბლუდი ½ ბ. ღვინით ან რუმკა არყით 1 მ.
დრო სადილისა—12 საათიდან 5-მდე. მიიღება ყოველგვარი ზაკაზი.

ყოველ დღე საღამოს 4 საათიდან 11 საათამდის დაუკრავს მუსიკა მეორე კავკ. მსროლელთა ბრიგადისა. ორკესტრის მმართველი კარელ ლემი.
რესტორანის პატრონი ტ. ი. ფარჯანაძე. (15—244—2).

ქუთაისის გამგეობა

წმ. ნინოს საქველმოქმედო საზოგადოებისა ამით აცხადებს, რომ ამ აკადემიურ წლის დასაწყისიდან სწავლის ფული ემატებათ ქუთაისის საქალებო წმინდა ნინოს სასწავლებლის მოწაფეებს—თითო თუმანი (ათი მანეთი) და ამიტომ გადახდებათ ნახევარი წლის ფული მოსამზადებელ კლასების მოწაფეებს 30 მანეთი, 1, 2, და მესამე კლასებისას—32 მ. 50 კ.; 4, 5, 6 და 7 კლასებისას 35 მან. და 8 და 9 კლასებისას 40 მანეთი, (3—3)

პეტერბურგის ამხანაგობა

„ნადეჟდა"

ტფილისის კანტორა 1 აგვისტოდან გადადის კნ. რატიშვილის სახლში (თავ. ირაკლისეული), სოლოლაკის და ფრეილინის ქუჩების კუთხეში და ოტტენის აფთიაქის პირდაპირ. (3—92—2)

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალებით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს. საღამოთი 6—7 ს. ყოველ დღე გარდა სამშაბათისა. კუთხე კირკის და დიდი მთავრის ქუჩებისა სახლი სვანიშვილისა № 15.

ექიმი
გ. ა. გედალინი

მადათოვის ქუჩა, № 5, ალექსანდრეს ბაღის [illegible] პირდაპირ.
[illegible] დღე იღებს სიფილისითა, ვენერიულ და [illegible]ნით ავადმყოფთ. დილით 8-დან 9 საათამდე [illegible] 5-დან—8 საათამდე. (80—6.—7)

კბილის ექიმი
[illegible]ნე პ. ახალშენიშვილი

[illegible]ისა (№ 32) და ხიდია. (№ 21) კუთხე [illegible] ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა [illegible] ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—8. [illegible] 0—1-მდის.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან"
25 ივლისი

ნიუ-პორტი, 24 ივლისი. (როდაილენდის შტატი). დღეს მოვიდა იახტას რუსებისა და იაპონელების რწმუნებულებით და გასწია პორტ-სმუტისაკენ, ვიტტე გადმოჯდა ნაპირზე და რკინის გზით განაგრძო გზა პორტ-სმუტისაკენ. ირწმუნებიან, რომ იაპონია არ ფიქრობს დიდის კონტრიბუციის გამორთმევას, მაგრამ, სამაგიეროდ, მას განზრახვა აქვს მოითხოვოს ტერიტორიის დათმობა და სურს იკისროს მანჯურიის ინტერესების წარმომადგენლობა, უზრუნველჰყოს თავისი სამფლობელო ციმბირის იმ ნაწილით, რომელიც იაპონიის ზღვასთან არის მდებარე და მოითხოვს დათმობას ან ნეიტრალიზაციას ვლადივასტოკისას. ამერიკა მდუმარედ დაეთანხმა იაპონიის მოთხოვნების პროგრამას, ვინაიდან იგი ერთხელ კიდევ დაარწმუნეს, რომ აღმოსავლეთში დაცულ იქნება ღია კარების პრინციპი.

ნიუ-იორკი, 25 ივლისი. „ჰერალდ"-ის სიტყვით, იაპონელები მიისწრაფვიან ისეთის იმპერიის შექმნისაკენ, რომელშიაც შევლენ კორეია, მანჯურია, აგრეთვე ციმბირის ნაწილიც, ალბათ, რათა აზიის კონტინენტის მთელი ჩრდილოეთის ნაწილი მის ხელში იყოს. თუ მოლაპარაკება არ გაუხსნის იაპონელებს გზას ამ პლანის განხორციელებისაკენ, იმ შემთხვევაში შეუძლებელი იქნება მშვიდობიანობის ჩამოგდებაო. გაზეთის სიტყვით, ამნაირ გავლენის საზღვრები უკვე აღნიშნულია და სჯა-ბაასი ექნებათ მომავალ მოლაპარაკების დროსაო.

პეტერბურგი, 25 ივლისი. ლინევიჩის დეპეშა 22 ივლისის თარიღით: „ხაილუნჩენის რაიონში 20 ივლისს ერთმა ჩვენმა რაზმმა მიაღწია სოფ. ნანშანჩენცზისა და სიუიციულუნჩანს. როცა ჩვენი რაზმი მიუახლოვდა ამ სოფლებს, იქიდან თოფები დაახალეს მათ დამცველებმა, მაგრამ დღის პირველ საათზე იაპონელებმა უბრძოლველად დასტოვეს ეს სოფლები და დაიჭირეს მაღლობები. მათთვის შემოსავლელად გაგზავნილმა რაზმებმა აიძულეს იაპონელები გაიწმინდათ მთელი წინა პოზიციები და დაახევინეს უკან ფრიად გამაგრებულ პოზიციებისაკენ. 21 ივლისს, დილის ასე 8 საათზე, მთელმა რაზმმა წინ გალაშქრება იწყო არტილერიის დახმარებით. იაპონელების ცდა რაზმის მარცხენა ფრთის შემოსავლელად მოგერიებულ იქნა. რაზმმა სავსებით მიაღწია დანიშნულ მიზანს და ამიტომ, სრულის წესიერებით, დაიხია ცოტათი უკან, მტერმა წინ გამოილაშქრა, მაგრამ ჩვენების ცეცხლმა უკუაგდო იგი. კაზაკებსაც ჰქონდათ პირის-პირი სროლა იაპონელებთან 18 ივლისს. 20 ივლისს გათენებისას ერთმა რაზმმა, წაიწია რა წინ 18 ვერსტის მანძილზე, დაახევინა იაპონელების დამცველ რაზმს პოზიციიდან უკან". 2. 23 ივლისის თარიღით: „მოხსენება მივიღე, რომ იაპონელებმა დაანგრიეს პოსტი დეკასტრში და ზღვაში გავიდნენო".

ნიუ-იორკი, 23 ივლისი. ვიტტე სწრაფი მატარებლით წავიდა საღამოს 10 ს. ბოსტონში, საიდანაც, რკინის გზით, პორტ-სმუტს გაემგზავრება. დღეს დილით, ვიტტემ უთხრა რუზველტს, ცუდი მეზღვაური ვარო. პრეზიდენტმა უბრძანა, მოემზადებინათ საგანგებო ვაგონი ვიტტესთვის, მაგრამ, ნისლის გამო, ვიტტემ დააგვიანა მატარებელზე. ფინანსთა სამინისტროს აგენტი ვილენკანი მიჰყვება ვიტტეს ბოსტონში.

ვლადივასტოკი. როგორც ხმებია, ჩრდილოეთ კორეიაში მტრის არტილერიამ ესროლა ჩვენს რაზმებს. იაპონელებმა გაისროლეს ასამდე ყუმბარა და მერმე წავიდნენ.

ნოვოროსიისკი, 25 ივლისი. შაბათს საღამოს, თითქმის ერთსა და იმავე დროს, სადგურის თავსა და ბიდრში ცეცხლი გაჩნდა. დაიწვა ცარიელი ბეღელი, ამერიკული სამეურნეო მანქანები, ხე-ტყის საწყობისა და სახელოსნოების ნაწილები. ზარალი 80 ათასი მანეთამდეა. ქალაქის სამხედრო დაცვა მიანდეს გენერალ ბაბიჩს.

კალიში. „კალიშ. გაზეთ"-ის სიტყვით, კომერციულ სასწავლებლის საბჭომ ფინანსთა სამინისტროსაგან განმარტება მიიღო, რომ მას არ აქვს ნება დააკმაყოფილოს საბჭოს შუამდგომლობა სასწავლებელში [illegible] ენების სწავლების შესახებ.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"
25 ივლისი.

ნიუ-იორკი, 25 ივლისი. როდესაც ვიტტე ნიუ-პორტში ჩამოხტა, სქელი ბურუსი ჩამოწვა. „მაიოლოუერმა" და „დოლფინმა" ღუზა ჩაუშვეს და დადგნენ. რწმუნებულნი დღეს ძლივს მოვლენ პორტსმუტში. კონფერენცია უეჭველია უფრო გვიან დაიწყება. ნიუ-პორტიდან ვიტტე მსწრაფლის მატარებლით მივიდა ბოსტონში როზენი მცირე ხნით გემიდან ნიუ-პორტში გადმოვიდა, შემდეგ ისევ გემზე დაბრუნდა და განაგრძო გზა. პეტერბურგში გაიგზავნა დაწვრილებითი დეპეშა, რომლითაც აწერილია შაბათს მომხდარი ამბები და დაგვიანების მიზეზები. იაპონელებიც გადმოვიდნენ ნაპირებზე და ელოდნენ ბურუსის გაფანტვას და გამოდარებას. იმათაც გაჰგზავნეს დეპეშები ტოკიოში.

ნიუ-იორკი, 25 ივლისი. ვიტტეს ერთმა დაახლოვებულმა პირმა განაცხადა, რომ რუსეთი არ დასთანხმდება არც თავის ტერიტორიის დათმობაზე და არც კონტრიბუციის გადახდაზე. იაპონელები ამტკიცებენ, რომ ჩვენი მოთხოვნილებანი ჯერ არავინ არ იცისო. ზავის ჩამოგდება მხოლოდ მაშინ მოხერხდება, როდესაც რუსეთი შეგვატყობინებს რასაც ფიქრობს. ვიტტე, როზენი, კომურა და ტაკახირა გერმანულად ლაპარაკობდნენ. პორტსმუტში დელეგატთათვის განსაკუთრებული მცველი დაყენებული, მეტადრე საბუთიან ქაღალდების დასაცველად.

ვაშინგტონი, 25 ივლისი. ერთი გამოჩენილი დიპლომატი, რომელიც დაახლოვებულია იაპონიასთან, ირწმუნება, იაპონია სახალინის დათმობას მოითხოვსო.

ნიუ-კასტლი, 25 ივლისი. ზოგიერთ უმნიშვნელო ნიშნებს თუ მივიღებთ სახეში, ორივე მხარის რწმუნებულნი ძლიერ მცირე კეთილ სურვილს იჩენენ, რაც ისე საჭიროა მათის საქმის წარმატებისთვის. რუსებმა უზრუნველ-ჰყვეს პირველობა, მაგრამ სატოს აზრმა—კონფერენცია არ მოიტანს სასურველს შედეგსაო, ძლიერ დააღონა არამც თუ რუსები, არამედ ამერიკის მთავრობაც. ამერიკელები მაინც ამბობენ, ის, ვინც ამას ამბობს, რუზველტს სრულებით არ იცნობსო. რუზველტს კარგად ესმის, რომ მთელის ქვეყნიერების თვალი მისკენ არის მიპყრობილი და, რაც უნდა დაემართოს, საქმეს ზავით გაათავებსო.

პეტერბურგი. სახალხო განათლების სამინისტრომ დაადგინა, რომ იმ პირებმა, რომელთაც საშუალო ოთხ-კლასიანი ტეხნიკური სასწავლებლები გაუთავებიათ და სურვილი აქვთ იმ უმაღლეს სპეციალურ სასწავლებლებში შესვლისა, სადაც კონკურსია დაწესებული მათემატიკასა, ფიზიკასა და რუსულ ენაში, ატესტატებს გარდა, უნდა წარადგინონ მოწმობა იმის შესახებ, რომ მათ ეგზამენი დაიჭირეს რეალურ სასწავლებლისა ან გიმნაზიის რუსულ ენის მთელ კურსშიო.—აგვისტოში რომ სიეზდი მოხდება იაროსლავის ეპარქიის სამღვდელოებისა, მაშინ უკანასკნელს განზრახვა აქვს შეიტანოს საკითხი სემინარიებში კლერიკალობის მოსპობისა და მათის საშუალო საზოგადო განათლების ტიპის სასწავლებლად გადაკეთების შესახებ.

კიევი. გიმნაზია გათავებულთაგან 400 თხოვნა მოვიდა სტუდენტად ჩარიცხვის შესახებ. თხოვნების მიღების ვადა 10 აგვისტომდეა. პირობით გადაყვანის შესახებ თხოვნები ათასამდე სტუდენტმა გამოგზავნა. სტუდენტების საერთო რიცხვი 2 ათასამდეა.

რიო-დე-ჟანეირო. დეპუტატთა პალატამ 10 მილ. დოლარი გადასდო პრემიად იმ პირისთვის, ვინც, განურჩევლად ეროვნებისა, გამოიგონებს ისეთ საშუალებას, რომლის შემწეობით შესაძლებელი იქნება ტუბერკულოზისა, კუსა და სხვა გადამდებ ავადმყოფობათაგან თავის დახსნა და მორჩენა.

მოსკოვი, 25 ივლისი. მოვიდა სენატორი პოსტოვსკი იმ ამბების გამოსაძიებლად, რომელნიც ეხება ერობათა წარმომადგენელთა სიებს შეკრება. პირად მოლაპარაკებისთვის პოსტოვსკიმ ბარათები დაუგზავნა საგუბერნიო გამგეობის თავმჯდომარეს, საერობო ბიუროს წევრებს და პროფესორებს თ. ტრუბეცკოის, ჰერცენშტეინსა და მანუილოვს.

ბერლინი, 25 ივლისი. დანიის პრინც კარლის კანდიდატურას ნორვეგიის ტახტზე, რომელსაც მხარს დაუჭირა იმპერატორ ვილჰელმმა კოპენჰაგენში, კარგი პირი უჩანს, თუ შვედეთმა თანხმობა განაცხადა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ნორვეგიაში რესპუბლიკა გაიმარჯვებს.

ლონდონი. მოვიდა საფრანგეთის ესკადრის 18 გემი და დადგნენ პორტ-სმუტთან. ესკა[illegible]

ჟურნალ-გაზეთებიდან

რუსეთის სამხედრო პარტიის გაძლიერება. თუ ზოგიერთ კორესპონდენტს დავუჯერებთ, რუსეთის სამხედრო პარტიამ ბოლოს დროს ძლიერ აიმაღლა ხმა და ბეჯითად თხოულობს ომის გაგრძელებას. ამიტომ პოლიტიკოსთა წრეები ეჭვის თვალით უცქერიან ზავზე გამართულ მოლაპარაკებას.

„მატენ"-ის პეტერბურგელი კორესპონდენტი გასტონ ლერუ იუწყება: პირველად შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ რუსეთი თავის მეომარ კილოთ მხოლოდ იაპონელების შეშინებას ცდილობსო, მაგრამ ნამდვილად ასე არა ყოფილა. ომის მომხრე პარტიას ნამდვილად დაავიწყდა იალუ, ლიაოიანი, პორტ-არტური, მუკდენი, ცუსიმა და დარწმუნებულია, რომ ვლადივასტოკი და ლინევიჩი გვიხსნიანო. რაც უნდა ზომიერი პირობა წარუდგინონ იაპონელებმა რუსეთს, რუსები მაინც უარყოფენ, რადგანაც გამარჯვება ჰსურთ. („რ. ს.").

„რუსკოე სლოვო"-ს კორესპონდენტი იუწყება პარიზიდან: აქაური პოლიტიკური წრეები, მომეტებულ ნაწილად, ეჭვის თვალით უცქერიან ზავის საქმეს.

გერმანიის იმპერატორის რჩევა. ზოგიერთ ცნობიდან სჩანს, რომ რუსეთის სამხედრო პარტიის გაძლიერების მიზეზი გერმანიის იმპერატორი ყოფილა.

გაზ. „ჟურნალ"-ში, 17 ივლისის თარიღით, საინტერესო კორესპონდენციაა დაბეჭდილი პეტერბურგიდან. კორესპონდენციაში ნაამბობია, ვითომ იმპერატორების შეხვედრის დროს ბიერკეში ვილჰელმ II-ს აზრი გამოეთქვას, რუსეთმა უსათუოდ უნდა განაგრძოს ომიო, რუსეთს არ უნდა ეშინოდეს ევროპის საზღვრისა და მთელი თავისი ჯარი ამ საზღვრიდან შორეულ აღმოსავლეთს უნდა გაგზავნოსო. ვილჰელმმა ვითომ პირობა მისცა რუსეთს, ომის დროს არა თუ მარტო გერმანია არას უტრობს რუსეთს, პირიქით, რაც კი შეუძლიან, ეცდება, რომ ევროპაში მშვიდობიანობა არ დაირღვესო. ომის გასაგრძელებლად რუსეთს, იმპერატორ ვილჰელმის აზრით, ორი რამ სჭირია: პირველი ფინანსები, და გერმანია მზადაა რუსეთს ამ მხრივ სრული დახმარება გაუწიოს; მეორე—რუსეთმა სახალხო მოძრაობა უნდა შეჰქმნას ომის გაგრძელების სასარგებლოდ; იმპერატორ ვილჰელმის აზრით, ესეც შესაძლებელი იქნება, თუ მთავრობა დიდ შინაგან რეფორმებს შემოიღებს; მაშინ ხალხი სულით აღფრთოვანდება და მთავრობას დახმარებას გაუწევს ომის საქმეში. კორესპონდენტი უმატებს, იმპერატორი ვილჰელმი დარწმუნდა პირადად, რომ პეტერბურგის უმაღლეს წრეებს კარგად ესმით რუზველტის ორჭოფი ქცევაო" („ნ. დ.").

ჟორესიც იმპერატორ ვილჰელმს აბრალებს რუსეთის სამხედრო პარტიის გაძლიერებას. ფრანგ სოციალისტების მეთაური სწერს თავის გაზ. „ჰუმანიტე"-ში: „ზოგიერთ ნიშნიდან სჩანს, რომ იმპერატორების შეხვედრას ომის გაგრძელება მოჰყვება შედეგად. რუსეთმა მხოლოდ განგებ დაიწყო შერიგებაზე მოლაპარაკება, ნამდვილად კი ომის გასაგრძელებლად ემზადება, იაპონიის პირობას შეუფერებლად იცნობს და არ მიიღებს. გერმანიამ ზნეობრივი დახმარება გაუწია რუსეთს და თავის მეზობლის საომარ პოლიტიკას ხელი შეუწყო. გერმანიის იმპერატორმა, უეჭველია, ხმა მაღლა მოიწონა ომის გაგრძელება, თუ რომ იაპონია თავის გამარჯვების ნაყოფით სარგებლობას მოინდომებს. რუსეთის მომხრე ფრანგულმა გაზეთებმაც კილო შეიცვალეს. სულ რამდენისამე კვირის წინად „ტან"-ი ზავზე ლაპარაკობდა და რუსეთსაც ურჩევდა დათანხმებას. გაზეთი ემუდარებოდა რუსეთს, შენ ღონეს ნუ ალევ ამ უსარგებლო, დამღუპველ ომსა და საჩქაროდ შეუდექ შინაგან რეფორმებსაო. ეხლა-კი ეს გაზეთი პეტერბურგიდან მიღებულ წერილს ჰბეჭდავს, სადაც რუსეთის გამარჯვების სრული იმედია გამოთქმულიო". („ო. ნ.").

რუსეთის ფინანსები. გერმანული გაზეთები ირწმუნებიან, სტატს-სეკრეტარ ვიტტეს, შერიგების გარდა, სესხის გამოცემის საქმეც აქვს დავალებულიო. ამიტომ ვიტტე პარიზსა და ბერლინში მეტად ბეჯითად მუშაობდა ამ საქმეზეო. ამბობენ, ვითომ გერმანიის იმპერატორი და მთავრობა ხელს შეუწყობს რუსეთის სესხის გამოცემას გერმანიაში, მაგრამ საფრანგეთის მთა[illegible] გამოუცხადეს რუსეთს: ფულს მხოლოდ იმ შემთხვევაში გასესხებთ, თუ იაპონიას შეურიგდებით და ამ მოკლე ხანში კონსტიტუციას გამოაცხადებთო. რასაკვირველია, არც საფრანგეთის მთავრობა, არც იქაური ფინანსისტები რუსეთის შინაგან საქმეში არ გაერევიან, მაგრამ ფრანგებმა ბევრი მილიარდი ასესხეს რუსეთს და თავიანთ საკუთარ სარგებლობის გულისათვის უნდათ, რომ რუსეთში რეფორმები მოხდეს და ეხლანდელ ანარქიას ბოლო მოეღოს. საფრანგეთისა და გერმანიის ფინანსისტებს სწამთ, რომ ახალ წესების შემოღების შემდეგ, რუსეთის ფინანსებს კანტროლი დაუწესდებაო, თორემ უამკანტროლოდ ფინანსისტებს არა სჯერათ, რომ რუსეთის ბიუჯეტის ნომინალური ციფრები ნამდვილად შეეფერებოდნენ ჭეშმარიტებას.

დეპეშებიდან ვიცით, რომ ვიტტეს ნიუ-იორკის ფინანსისტებთანაც ჰქონია სესხზე მოლაპარაკება.

„რუს"-ს ატყობინებენ: ზავზე მოლაპარაკება რომ მოახლოვდა, ინგლისელმა, ამერიკელმა და გერმანელმა ფინანსისტებმა ორი სინდიკატი დააარსეს: თუ შერიგება მოხდა, ორივე სინდიკატი რუსეთს 3-დან 4 მილიარდ ფრანკამდე ასესხებენ. ორსავე სინდიკატში როტშილდის სახლი იღებს მონაწილეობას. („რ.").

ინგლისი და გერმანია. „სტანდარდ"-ს ატყობინებენ ბერლინიდან: ეტყობა, გერმანიის მთავრობა სერიოზულად ფიქრობს ბალტიის ზღვის დაკეტას ყველა სახელმწიფოს სამხედრო გემებისათვის გარდა რუსეთისა, გერმანიისა, შვეციისა და დანიისა. თუმცა ჯერ არავითარი სწორი ცნობები არაა მიღებული ამ საგანზე, მაგრამ ფიქრობენ, გერმანიამ ამ საქმეზე მოლაპარაკება გამართა რუსეთთან, შვეციასთან და დანიასთან. აქ უნდა აღვნიშნოთ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა: დანიისა, შვეციისა და გერმანიის პრესაში უკანასკნელ კვირეებში იბეჭდება წერილები იმის დასამტკიცებლად, რომ ბალტიის ზღვა უსათუოდ უნდა დაიკეტოს უცხო სახელმწიფოთა სამხედრო გემებისათვისაო. ამ წერილების ფორმა და შინაარსი სულ ერთნაირი იყო, რაც ცხადად ამტკიცებს, რომ ეს წერილები ვიღაცის ჩაგონებით იყო დაწერილი. ეს ჩამგონებელიც, რაღა თქმა უნდა, გერმანია იყო. დიპლომატთა წრეები ფიქრობენ, რომ იმპერატორი ვილჰელმი შვეციის მეფესა და

რუსეთის იმპერატორის შეხვედრის დროს, სხვათა შორის, ბალტიის ზღვის ჩაკეტვაზე მოელაპარაკებოდა და დანიის მეფესთან შეხვედრის დროსაც უსათუოდ ჩამოვარდება ამ საგანზე ლაპარაკიო. ერთის სიტყვით, გერმანიას ძლიერ გულით სწადიან ბალტიის ზღვის დაკეტვა და ამიტომ გასაკვირველი არარაა, რომ ცნობამ ინგლისის ესკადრის გაგზავნაზე გერმანიის ჩრდილოეთ-ნაპირებისაკენ ასე აღელვა ბერლინი“. („რ.“).

გერმანული გაზეთები ურჩევენ ხალხს, როცა ინგლისის ესკადრა მოვა გერმანიის პორტებში, დინჯადა და ფრთხილად მოიქეცითო, ინგლისის მეზღვაურებს თავდაჭერითა და პატივისცემით მოეპყარითო. პოლიციამაც ყური უნდა უგდოს, რომ ინგლისის ესკადრის მოსვლის დროს ჩვენს პორტებში არაფერი ამბები მოხდესო. („ნ. ნ.“).

რუს მეზღვაურების ნაამბობი. ცუსიმას ბრძოლაში დაღუპულ კრეისერ „ურალ“-იდან, სხვათა შორის, ერთი მატროსი დაბრუნებულა პეტერბურგში და შემდეგი უამბნია „ბირჟევია ვედომოსტი“-ს თანამშრომლისათვის: „გულ-ახდით გეტყვით, თუმცა ჩვენი მტრები არიან იაპონელები, მაგრამ მაინც ძლიერ შემიყვარდნენ. რა კეთილი და თავაზიანი ხალხია. ბრძოლის შემდეგ ნამდვილი მეგობრობა გაუწიეს ჩვენს მატროსებს. ისე უმასპინძლდებოდნენ და ზრუნავდნენ იმათთვის, თითქო ნათესავები იყვნენო. რუსეთში თავის დღეში არა მყოლია მეგობრები, ეხლა კი გავიჩინე იაპონელებითო. („ბ. ვ.“).

დაღუპულ ჯავშნიან გემ „უშაკოვ“-ის მღვდელს უამბნია „რუს“-ის თანამშრომლისათვის: როცა ჩვენი გემი დაიღუპა, იაპონიის კრეისერები მოვიდნენ, დიდის მზრუნველობით ამოიყვანეს წყლიდან ჩვენი მეზღვაურები, ახალი ტანისამოსი და საცვლები ჩაცვეს, კონიაკი დაალევინეს და სხვ. იაპონელი აფიცრები ჩვენს აფიცრებს ართობდნენ და წიგნებს უჩვენებდნენ სურათებით, თავდაპირველად კი ერთს წიგნს უჩვენებდნენ განსვენებულ ადმირალ მაკაროვის სურათით. სადილის დროს იაპონელებმა აუხსნეს რუსებს, რომ ეს მაკაროვის თხზულება იყო: „საზღვაო ტაქტიკა“, იაპონურ ენაზედ გადათარგმნილი.

— ჩვენ იმიტომ გაჯობეთ, რომ მაკაროვის ტაქტიკას მივსდევდით. იმისი წიგნი არა თუ მარტო აფიცრებს, ყველა ჩვენს მატროსს აქვსო!—სთქვეს იაპონელებმა.

ჩვენი ნიჭიერი ადმირალი მხოლოდ ჩვენმა მოწინააღმდეგემ დააფასა ღირსეულად და იმის ცოდნითა და ნიჭით ისარგებლათ, შენიშნავს („რ.“).

ბლაგოვეშჩენსკი. „სინ ოტეჩესტვას“ ატყობინებენ: დღე და დღე ძლიერდება ხმა, რომ ხუნხუზები ქალ. ბლაგოვეშჩენსკზე დაცემას აპირებენო. სამხედრო მოხელეებმა ბრძანება გამოსცეს, რომ თავისუფალ მეომართა რაზმები შესდგესო, მაგრამ ჯერ-ჯერობით 20—30 გიმნაზიელს გარდა არავინ არ ჩაწერილა. ყველაზედ გულგრილად ამ საქმეს მდ. ზეის იქით მცხოვრებელმა გლეხებმა შეჰხედეს. ზოგიერთი ფირმა ბლაგოვეშჩენსკში საქმესა სპობს, ეშინიათ სიცივისაგან არ დავიხოცნეთ, ან ხუნხუზებმა არ დაგვკუწონო. ხუნხუზებს ბლაგოვეშჩენსკელების ჯავრი 1900 წლის შემდეგ სჭირთ. მაშინ ბლაგოვეშჩენსკის მცხოვრებელმა რუსებმა შვიდი ათასი მშვიდობიანი ჩინელი შერეკეს მდ. ამურში და დაახრჩეს. („ს. ო.“).

ახალი ამბავი

◆ კავკასიის ნამესტნიკის ბრძანებით, ქალაქ **ნოვოროსსიისკში შემოღებულ იქნა გაძლიერებულ დაცვის წესები.** „კავ.“-ის გუშინდელ ნომერში დაბეჭდილია სავალდებულო დადგენილებანი ნოვოროსსიისკისათვის. ამ დადგენილებით, აკრძალულია იარაღის ტარება და ყრილობების მოხდენა.

◆ 25 ივლისს, ღამე, ჩაუმტვრევიათ ტფილისის მესამე მესამე გამომძიებლის კამერის ფანჯრები და გაუტანიათ სხვა და სხვა პირთაგან ჩამორთმეული, როგორც დამამტკიცებელი საბუთი, **რევოლვერები და ხანჯლები.** ჯერ გამორკვეული არ არის, მოპარულია თუ არა სხვა ნივთებიც.

◆ გუშინ, 26 ივლისს, ტფილისის სამოსამართლო პალატაში წოდებათა წარმომადგენლების თანადასწრებით დანიშნული იყო განსახილველად საქმე ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებთა: გიორგი შევარდნაძისა, სილივან ივანიძისა, ფარნა ნინუასა, ბენია ჩხიკვიშვილისა, დავით [illegible]შვილისა, ვლადიმერ ჯიბუტისა, ანტონ რურუასა, ბებურ სიმონაშვილისა და ალექსი კუპრეიშვილისა, რომელთაც ჰბრალდებათ ბათუმში გამართულ **მთავრობის საწინააღმდეგო დემონსტრაციაში მონაწილეობის მიღება.** წოდებათა წარმომადგენლების მონაწილეობით საქმის გარჩევა ტფილისში პირველია. ამ საქმისთვის დანიშნულნი არიან: ტფ. გუბერნიის მარშალი, თელეთის სოფლის მამასახლისი, ტფ. ქალაქის მოურავი და ტფ. მოქალაქეთა მამასახლისი. რადგან, რაღაც მიზეზისა გამო, თელეთის მამასახლისი ვერ დაესწრო და მოწმენიც არ გამოცხადდნენ (12 კაციდან ერთი გამოცხადდა), საქმის განხილვა პალატამ სხვა დროისათვის გადასდო. იუსტიციის სამინისტროს განკარგულებით, ამის შემდეგ პოლიტიკურ დამნაშავეთა საქმეების განხილვის დროს პალატაში მონაწილეობას მიიღებენ წოდებათა წარმომადგენელნიც.

◆ სამოსწავლო ოლქმა უკვე გადასწყვიტა მომავალი სამოსწავლო წლიდან **დაარსოს ავლაბარში ვაჟთა პროგიმნაზია.** ამას გარდა ტფილისში არსდება ქალთა მეხუთე გიმნაზია, კავკავში—ქალთა მეორე გიმნაზია, ხოლო ყარსში—რეალური სასწავლებელი.

◆ მომავალ სამოსწავლო წლიდან კავკასიის სატეხნიკო საზოგადოებასთან გაიმართება **საკვირაო კურსები** ზოგიერთ ცნობების შესაძენად. კურსებზე მოსწავლეთ ასწავლიან ხატვას, ხაზვას და არითმეთიკას. სწავლება წელიწად ნახევარი გაგრძელდება. საკვირაო კურსებზე შემსვლელებმა უნდა იცოდნენ წერა-კითხვა რუსულ ენაზე. მოსწავლეებმა სწავლის ფასად უნდა გადაიხადონ 1 მან. 50 კაპ.

◆ ქართველ მემუსიკეთა წრემ განიზრახა შეადგინოს **„ქართულ ხოროს საზოგადოება“.** წრემ შეადგინა პროექტი წესდებისა და მალე დასამტკიცებლად წარუდგენს გუბერნატორს. პროექტით, საზოგადოებას განყოფილებები ექნება კავკავსა, ბათუმსა და ქუთაისში. საზოგადოებას ეყოლება მგალობელთა გუნდი. საზოგადოება დრო გამოშვებით გამართავს სამუსიკო დღესასწაულებს. ასეთი დღესასწაულები გაიმართება ტფილისსა და ბათუმში. საზოგადოების გამგეობა 5 წევრისაგან შესდგება. საწევრო ფული 1 მანეთი—იქნება.

◆ **ამიერ-კავკასიის რკინის გზა** სიხრანისა და ვიაზემსკის გზებზე ჰგზავნის ორთქლმავლის 8 ბრიგადას. ამავე გზებიდან კიდევ მოითხოვეს 15 კაცი.

◆ **საქართველოს ეგზარხოსს** ტფილისში 5—6 აგვისტოს მოელიან.

◆ გუშინ, 26 ივლისს, დიდუბის ვაჭარმა გიორგი მათიაშვილმა ვიღაცასაგან ბარათი მიიღო. სწერდნენ, ფული **მოამზადე და გამოგვიგზავნე,** თორემ სიცოცხლეს გამოგასალმებო. ბარათზე, ალბად შესაშინებლად, კუბო იყო გამოხატული. შიშისაგან იყო თუ სხვა მიზეზისაგან, მათიაშვილი იქვე წაიქცა, გული გაუსქდა და გარდაიცვალა. როგორც გადმოგვცეს, მათიაშვილს ამას წინადაც მიუღია წერილი ვითომდა „კომიტეტისაგან“ და გადაუცია უცნობებისთვის ექვსასი თუმანი

◆ 23 ივლისს, საღამოს 11 საათზე, **ნაძალადევში მოუკლავთ** სადურგლო საქმის მოიჯადრე მიხეილ ზიბროვი. მკვლელი, რომლისაც რევოლვერი უსროლია, ვერ უპოვნიათ.

◆ ამიერ-კავკასიის **რკინის გზის მთავარ სახელოსნოების უფროსი** ინჟ. სტრჟემსკი სხვაგან გადაჰყავთ. (ნ. ო.).

◆ ქ. თელავი. 21 ივლის დაასაფლავეს სოფლის მაისურაძე. ჯერ ავადმყოფობამდე, განსვენებულს [illegible] აქაურ წიგნთსაცავისათვის და გადასწყვიტა, თავის ხარჯით აეშენებინა ერთი ოთახი, სადაც მოთავსდებოდა წიგნთსაცავი, მაგრამ, საუბედუროდ, ვერ განახორციელა სიცოცხლის დროს ეს სურვილი, მხოლოდ სიკვდილის წინად მაინც ანდერძი დაუტოვებია, იმის დარჩენილ ქონებიდან აშენონ ოთახი ან 300 მან. მიეცეს წიგნთსაცავის გამგეობას იმ პირობით, რომ ეს ფული მხოლოდ შენობას მოახმარდეს. მაისურაძისას ისეთი სიყვარული ჰქონდა დამსახურებული. დასაფლავებას მრავალი ხალხი, განსაკუთრებით ახალგაზრდობა, დაესწრო. კუბოს რამდენიმე გვირგვინი ამშვენებდა. წირვასა და პანაშვიდზე წარმოსთქვეს სიტყვები.

◆ ტფილისის საბაღოსნო სასწავლებელში მებაღეობასა, მეღვინეობა-მევენახეობასა და მებოსტნეობაში კურს დასრულებულთა გამოცდა გათავდა 26 ივლისს. სასწავლებელი წელს დაასრულა 6 კაცმა—3 სომეხმა 2 ქართველმა და 1 რუსმა. 28 ივლისიდან ახლად კურს დამთავრებულთ სკოლის მმართველი წაიყვანს ალაზანის სანერგეს, წინამძღვრიანთ სკოლასა და სკრის მამულში.

◆ ტფილისის სემინარიის რექტორად დანიშნული არქიმანდრიტი ტიხონი დაინიშნა აგრეთვე სასინოდო კანტორის წევრად.

◆ გაზეთებში აღნიშნული ამბავი, ვითომ საქართველოს ეგზარხოსის კანცელარიის მმართველი ტრედინი ტფილისიდან გადაჰყავთ, ტყუილი გამოდგა. ტრედი უკვე დაბრუნდა პეტერბურგიდან.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობის წევრი თავ. ნ. გ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი ერთის თვით შესასვენებლად მიდის.

◆ ტფ. პოლიცმეისტერმა აცნობა პოლიციის ბოქაულებს, რომ, როგორც ქალაქის გამგეობა მატყობინებს, ვიღაც ბოროტ განმზრახველები დამედამობით ქუჩებში ცეცხლის საქრობ კრანებიდან სპილენძის სარქველებს იპარავენ და პოლიციის მოხელენი ყურადღებას არ აქცევენო. რადგან შესაძლებელია ცეცხლის გაჩენის დროს მეტად უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნენ მცხოვრებნი, პოლიცმეისტერი აფრთხილებს პოლიციელებს, ყური უგდონ, რომ არავინ კრანები არ დაანგრიოს და თუ შენიშნონ ასეთი მაშინვე აცნობონ წყლის მილის სახელოსნოს შესაკეთებლადაო.

◆ ტფილისის საფიზიკო ობსერვატორიის გამგემ გუშინ ქალაქის გამგეობას აცნობა, რომ ქალაქმა ობსერვატორიის ადგილი მიითვისა, მუშებმა ისე გამოაცალეს მიწა, რომ ქვითკირის ეზოს გალავანი გადაინგრაო.

◆ კავკასიის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსის განკარგულებით, ქუთაისის გუბერნიის სოფელ ურიასკარში საფოსტო განყოფილება დაარსდა.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ არქივარიუსის თანამდებობაზე დანიშნა იონესიანი.

◆ 25 ივლისს ღამე ვიღაცეები შესულან სასახლის ქუჩაზე თავად-აზნაურთა სახლში და ჩაპარულან ვაჭარ აკოფოვის კარდონის საწყობში, აქედან კედელი გამოუმტვრევიათ და ჩასულან დავიდოვების მაღაზიაში. ქურდებს ლომებით რკინის შაფი გამოუმტვრევიათ და წაუღიათ ფულად 134 მ. და სხვა საქონელი. რაოდენობა მოპარულ ნივთებისა ჯერ არ არის გამორკვეული.

◆ სარიბეკოვისა და ჩუბუხიევის გამძარცველი და მკვლელი ტფილისის მოქალაქე არტემ მიქაელიანცი პოლიციამ უკვე შეიპყრო პოლიციის მე-7 ნაწილში და გადასცა გამომძიებელს.

◆ გოლოვინის პროსპექტზე, არაფელოვის სახლში, კავკასიის აფიცერთა საეკონომიო საზოგადოების მაღაზიის განყოფილებაში, 25 ივლისს მორგებულის გასაღებით ჩაპარულან და წაუღიათ ფულად 90 მან. 1 კაპ. და სხვა ნივთები. რაოდენობა მოპარულ ნივთებისა არ არის გამორკვეული.

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

ქუთაისი, 26 ივლისი... კომისია შეუდგა ქალაქის პირველ დაწყებით სკოლებისთვის პროგრამის შემუშავებას.

ხანგრძლივ გვალვის შემდეგ ღამე კოკისპირული წვიმა წამოვიდა და ასტყდა ჭექა-ქუხილი.

სოფლად

კახეთი. თელავის მაზრაში პირველად ს. ვაჩნაძიაანში მოუყარეს გლეხებს თავი, რომ მოესმინათ განცხადება ნამესტნიკის გრაფ ვარანცოვ-დაშკოვისა და მიეღოთ რჩევა-დარიგებანი გენერალ-ადიუტანტის თავ. ზ. გ. ჭავჭავაძისა. თავ. ზ. გ. ჭავჭავაძეს თან ახლდა ერთი ესკადრონი დრაგუნისა, ერთი რაზმი ყაზახ-რუსებისა და მთელი წყობა სამაზრო საერობო დარაჯთა. მასთანვე თანამოგზაურობენ გენერალი სტახოვიჩი, მაზრის თავად აზნაურთა წინამძღოლი თავ. ნ. ზ. ჩოლოყაშვილი, მომრიგებელი შუამავალი და მაზრის უფროსი. შესაკრებელ ადგილას უხვდებიან ბოქაული და ადგილობრივი სოფლის მოხელენი.

თავ. ზ. გ. ჭავჭავაძე, როგორც მოგვახსენეთ, ჯერ ესტუმრა ს. ვაჩნაძიაანს 13 ივლისს; 15 წავიდა ყვარელს, 16-ს საბუეში, 18 ს. სანიორეში, 19 ს. ხოდაშენ-წინანდალში, 21 ს. კურდღელაურში, 22 ს. ქისტაურში, საიდანაც, როგორც ამბობენ, ინახულებს ახმეტას, მატანს, მერე თიანეთს, ავა და მოივლის დანარჩენ ნაწილს თიანეთის მაზრისას.

თვითეულ ადგილზედ თავს უყრიდნენ 3—7 სოფლის გლეხებს, რომელნიც გახურებულ მუშაობის გამო უგულოდ იკრიბებოდნენ და ისიც თვითო სოფლიდან 10—20 კაციამდის. გლეხები, გარშემორტყმულნი სტუმრებით ისმენდნენ ნამესტნიკის განცხადებას და დარიგებას თ. ზ. ჭავჭავაძისას, რომელიც უხსნიდა, რომ კერძო საკუთრების შეხება უკანონობაა და დაისჯება ყველა, ვინც-კი ხელს წაატანს კერძო საკუთრებას, რომ მესაკუთრეებისთვის რა ზარალიც მიეყენებინათ, გადიხდებათ, რისთვისაც ცალკე კომისია იქნება ამ ცოტა ხანში დანიშნული. გრაფმა ვარანცოვ-დაშკოვმა დამაბარა თქვენთან, დამშვიდდით, დაწყნარდით, მალე მიწებს დაგირიგებთ, ზოგს სახელმწიფოს, ზოგს საბატონოდან ნადელები მოგეცემათ, ბანკ

ფელეტონი

როგორ უნდა მოეწყოს ხალხის წარმომადგენლობის საქმე

(შემდეგი *)

პირველი თვალსაჩინო ჭრილობა არისტოკრატიულ წარმომადგენლობას ფულის მეურნეობის ჩასახვამ და განვითარებამ მიაყენა, რომელიც დაფუძნებული იყო შრომის განაწილებასა და აღებ-მიცემობაზე ანუ ვაჭრობაზე.

მართალია, ამ დროს არისტოკრატიული წარმომადგენლობა არ მოისპარა, არამედ, როგორც ჩვენ დავინახავთ, გართულდა წარმომადგენლობის სხვა ფორმებით, მაგრამ რაც უფრო წინ მიდიოდა ფულის მეურნეობის საქმე, მით უფრო ძლიერი ჭრილობა ადგებოდა არისტოკრატიას, მით უფრო ამუსრებოდა იგი. ეს ასეც უნდა მომხდარიყო: ფულის მეურნეობის დროს საჭიროა ინიციატივა, საჭიროა მოთავეობა (предпріимчивость). კომერციული გამოცდილება, [illegible], საჭიროა უკან არ იხევდეს კაცი საქმის გაკეთების დროს და „რისკს“ არ გაურბოდეს და სხ. ძველი არისტოკრატია, უმეტესად, მოკლებულია ამ უნარს, ამიტომ თანდათან ქრება მისი მნიშვნელობა. არაა გასაკვირველი, რომ ფულის მეურნეობის დროს, რომელსაც ხელში უჭირია ჰეგემონია, თითქმის მსოფლიო ბაზარიც, დარჩა მხოლოდ ნაშთი ძველის არისტოკრატიულის წარმომადგენლობისა, როგორიცაა ინგლისის ლორდთა პალატა ანა და ავსტრიის რეიხსრატის პირველი კურია, სადაც მონაწილეობენ წარჩინებულ გვართა წარმომადგენელნი, არა ამორჩევით, არამედ მემკვიდრეობითის უფლებით. რომ ეს მხოლოდ ძველებურ დროის ნაშთია, იმდენად სჩანს, რომ ავსტრიისა და იტალიის პარლამენტებში ასეთი არისტოკრატიული ელემენტები ძლიერ მცირეა, ინგლისის ლორდთა პალატას-კი ნაკლები მნიშვნელობა აქვს, ვიდრე დეპუტატთა პალატას, მხოლოდ უკანასკნელის ხელშია საბიუჯეტო კანონმდებლობის უფლება, ე. ი. სახელმწიფო შემოსავლისა და ხარჯის შეცვლა-დამტკიცების უფლება; ლორდთა პალატის უფლება მხოლოდ ის არის, რომ კანონხდის ბიუჯეტი, მაგ რამე ცვლილების შეტანა-კი არ შეუძლია; ამას გარდა ინგლისის სამინისტრო პასუხის მგებელია მხოლოდ დეპუტატთა პალატისა და არა ლორდთა პალატის წინაშე: სამინისტრო სამსახურს თავს ანებებს, თუ დეპუტატთა პალატის უმეტესობა წინააღმდეგი გახდება მისი პოლიტიკისა, ლორდთა პალატის უმეტესობის აზრს-კი არავითარი გავლენა არ აქვს სამინისტროს ბედ-იღბალზე. ამას უნდა დავუმატოთ, რომ ლორდთა პალატამ არსებითად თითქმის სრულებით დაჰკარგა წმინდა არისტოკრატიული ხასიათი: უმეტესობა პერებისა არა არისტოკრატნი, არამედ დამსახურებულნი არიან. დედოფალ ვიქტორიას მეფობის დროს სამინისტროებმა, რათა ლორდთა პალატაში გაეყვანათ დეპუტატთა პალატის მიერ მიღებული, მაგრამ დიდებულთათვის არა სასიამოვნო კანონპროექტები, მუდამ ნიშნავდნენ ახალ პერებს ცნობილ პოლიტიკურ მოღვაწეთა და მოხელეთაგან ანა და დიდის კაპიტალის წარმომადგენელთაგან (როგორც როტშილდი მაგ.). ამას გარდა ბევრმა პერმა ოქროთი მოაგვარა თავისი წარჩინებული ნიშანი მდიდარ ვაჭრებისა, მეფაბრიკეებისა და ბანკირების ქალების შერთვით და თვითონაც ხელი მიჰყო ჩარჩობას და მრეწველთა რიცხვში ჩაერია. აი სწორედ ამ კაპიტალის წყალობითაა, რომ ინგლისის ლორდთა პალატას ჯერ კიდევ სული უდგია. გავლენა აქვს ამაზე აგრეთვე ინგლისის საზოგადო ცხოვრების საერთო ხასიათსაც: იქ ცხოვრებას ნახტომები არ უკეთებია, უფრო თანდათანობით ვითარდებოდა, არ გაწყვეტილა ძველი ცხოვრების ძაფი, არც დაუგლეჯიათ იგი, მეთაური კლასები უთმობდნენ უკმაყოფილოდ და ნაწილ-ნაწილად შესწორებით და კომპრომისებით იცავდნენ [illegible], რაც უზრუნველჰყოფდა მათს ბატონობას საზოგადოებაში.

ამგვარად ნატურალურ მეურნეობის ხანაში წარმომადგენლობის ერთად-ერთი ფორმა იყო ნათესაობრივ-არისტოკრატიული წარმომადგენლობა, რომელიც დაფუძნებული იყო არა საარჩევნო უფლებაზე, არამედ მემკვიდრეობითობაზე. მაგრამ, რამდენადაც მცხოვრებთა რიცხვი ემატებოდა, იმდენად ნატურალური მეურნეობაც ვიწრო ჩარჩოებში იხშებოდა: საჭირო და სასარგებლო საგნებზე მოთხოვნილების გაძლიერებამ გამოიწვია ამ საგნების რიცხვის გადიდება და მათის თვისებების გაუმჯობესება. ამ საქმის მოგვარება შეიძლებოდა მხოლოდ შრომის განაწილებით, შრომის ამა თუ იმ დარგის სპეციალურად შესწავლით, და, რადგან ერთ რომელიმე საქმის მცოდნისა და ოსტატისთვის უსათუოდ საჭირო იყო სხვების ნაწარმოებიც, ამიტომ მას ერთი-რამ დარჩენოდა, გაეყიდნა თავის შრომის ზედმეტი ნაყოფი და შეეძინა სხვისი ნაწარმოები. ასე განვითარდა ვაჭრობა, რომელმაც ფულის ფართოდ ხმარება შემოიღო და ამგვარად ნატურალურ მეურნეობის ადგილას დაიბადა მეურნეობა ფულისა ანუ გაცვლა-გამოცვლითი.

ძლიერ ძნელია ნატურალურ მეურნეობიდან ფულის მეურნეობაზე გადასვლა; მთელი ცხოვრება ხელახლა უნდა გარდაიქმნეს, ყველაფერი უნდა დაინგრეს, რაც საუკუნოებით შეუქმნია კაცობრიობას. ამისთანა ხანაში მცხოვრებლების უმეტეს კლასებსაც მოშველება სჭირიათ, მათაც უნდა გაეწიოთ მზრუნველობა და მფარველობა: ერთს ოჯახს არ შეუძლიან საკუთარის ძალ-ღონით გაუძლოს ახლად დამყარებულ სამეურნეო განწყობილებას. ამიტომ ჩნდებიან წოდებანი, რომელნიც ერთი-მეორისაგან იურიდიულად განსხვავდებიან, მაშინ როცა თვითეულ წოდების წევრებს ერთნაირი უფლება და ვალდებულება აერთებთ. ასე რომ არა ერთი ოჯახი, არამედ მთელი წოდებრივი ჯგუფი, შეერთებულის ძალით და სახელმწიფოს დახმარებით, ებრძვის ყოველს ახალს დაბრკოლებასა და გასაჭირს ცხოვრების გზაზე. ყველა ამის გამომხატველია ამქრებისა და გილდების გაჩენა. ამქარი ხელოსანთა ამხანაგობა, რომელშიაც შედიან ამა თუ იმ დარგის ყველა ხელოსნები და რომელიც დაწვრილებით განმარტებელია წარმოებისა: იგი აღნიშნავდა მუშების რიცხვს, ნაწარმოების თვისებას, მუშაობის ტეხნიკას და სხ. გილდია ეწოდება სავაჭრო ამხანაგობას, რომელიც დაწვრილებით განმარტავს ვაჭრობას, მისს ადგილს, საქონლის ფასს და სხვას. საამქრო და საგილდიო დაწესებულებათ ერთი სისტემა ჰქონდათ, ისინი მჭიდროდ იყვნენ შეკავშირებულნი ერთმანეთთან. მიწის დამუშავება ბატონ-ყმურ ფარგალში სწარმოებდა: ბატონ-ყმობა უზრუნველჰყოფდა თავად-აზნაურ მემამულეების ინტერესებს, ვინაიდან იგი აძლევდა საშუალებას მათ შეეძინათ მუშა ხელი. მემამულეებს დიდი შეძლება ჰქონდათ, მათ ზედმეტი პური ჰქონდათ, ბაზარი-კი არ იყო, ამიტომ პურის ტყუილად გადაყრას გლეხებისთვის დარიგებას ამჯობინებდნენ შიმშილობის დროს და ისიც იმიტომ, რომ სამაგიეროდ ისინი გლეხების [illegible] თავისუფლებას იღებდნენ ფასად, და ამგვარად თავად-აზნაურობა დაინტერესებული იყო თავის ყმების სიცოცხლის შენახვაში: ცხვარმა რომ მატყლი მოგცეს, უნდა საშუალება მისცე მატყლი გაეზარდოს.

სწორედ საზოგადოების ასეთ წოდებრივ წესწყობილებაზეა აღმოცენებული და განვითარებული ხალხის წოდებრივი წარმომადგენლობა. ამ გვარ წარმომადგენლობის ტიპიური მაგალითია საშუალო საუკუნოების წოდებრივი წარმომადგენლობითი დაწესებულებანი: საფრანგეთის გენერალური შტატები, გერმანელების ლანდტაგი, რუსეთის საერო კრებები. წოდებრივი წარმომადგენლობა სრულიად ბუნებრივი მოვლენაა ფულის მეურნეობის განვითარების დასაწყისში, როცა ცხოვრებას ახალი ეკონომიური საფუძველი ედება. მაგრამ რამდენადაც ვითარდება ფულის რაოდენობა, იმდენად უფრო მავიწროებელი ხდება წოდებრივი კედელი, იმდენად უფრო ინგრევა და ეცემა იგი და მასთან ერთად ხავსდება და ინგრევა წოდებრივი წარმომადგენლობაც. ამგვარად ცოტად თუ ბევრად მან შეინახა თავი ფინლიანდიაში და ისიც იმიტომ, რომ იქ განსაკუთრებული ეკონომიური და პოლიტიკური პირობები იყო და ეს პირობები ჯერ არ მოსპობილა. ფულის მეურნეობას ფინლიანდიაში დიდი და ფართო ბაზარი არა ჰქონია; ამას გარდა ფინლიანდია იბრძოდა თავის პოლიტიკურ თვით-მართველობის დასაცველად, რაც ერთობით აქრობდა პარტიების ბრძოლას და ერთის დროშის ქვეშ უყრიდა მათ თავს. მაგრამ ფინლიანდიაშიაც ჩნდება ძლიერი უკმაყოფილება წოდებრივის წარმომადგენლობისა და იქაც მოითხოვენ, რათა წოდებრივი წარმომადგენლობა დაინგრეს და მისი ადგილი დემოკრატიულმა წესწყობილებამ დაიჭიროს.

ფულის მეურნეობის განვითარების პირველ ხანაში ჩნდება და გაბატონებას იწყებს სავაჭრო კაპიტალი: ამ დროს კაპიტალი იმორჩილებს მხოლოდ საქონლის გაცვლა-გამოცვლას და მხოლოდ [illegible] შედგამს საოჯახო საგნების წარმოების სამფლობელოში. კაპიტალი ჰბოჭავს წარმოებას მხოლოდ ფულის განვითარების მეორე ხანაში, როცა სავაჭრო კაპიტალის ადგილს იჭერს სამრეწველო კაპიტალი, რომელიც მოიკალათებს დამმუშავებელ, უმეტესად, საფაბრიკო მრეწველობაში და კაპიტალი ბირჟისა, რომელიც ფართო ნიადაგს ეძებს საკრედიტო ოპერაციებისთვის. მხოლოდ ამ დროიდან იწყება ნამდვილი კაპიტალისტური განვითარება, რომლის პირველ მომენტს თავდაპირველ მოგროვების პერიოდი ჰქვიან. ამ დროს პირველ ადგილს იჭერს მხოლოდ საოჯახო მიზანი, კაპიტალის შეგროვება და ქონის საწარმოდ გამოყენება. ამის გამო ძლიერ ვითარდება ეგრედ წოდებული „გრიუნდერობა“ ე. ი. ახალ სამრეწველო საქმეების აღებისადმი მისწრაფება, და ამ საქმის საჭიროებისთვის, რაც შეიძლება, მეტ კაპიტალის მობოჭვა, იზრდება ბირჟაზე თამაში, ე. ი. პროცენტიან ქაღალდების ყიდვა-გაყიდვა. ამ ქაღალდებს სხვა და სხვა სააქციონერო ამხანაგობები სცემენ. მრეწველობა [illegible] მოსაგებელ აძლევს საქმის მოთავეს. ჯერ მუშებს [illegible] მათ შორის არავითარი ორგანიზაცია არ არსებობს, ჯერ შეუგნებლები არიან და ამიტომ უკიდურეს გაუგლეჯის მსხვერპლნი შექმნილან კაპიტალისტების მხრივ. კაპიტალი რეალურ ძალას იძენს და ეძებს პოლიტიკურ ბატონობას, რაც იხატება ცენზიან წარმომადგენლობის ბატონობაში, რომლის დროსაც ძალა საზოგადოების ცოტად თუ ბევრად შეძლებულ ელემენტების ხელშია. საფრანგეთში ცენზიანი წარმომადგენლობა 1848 წლამდე არსებობდა, გერმანიაში 1875 წ. და ახლაც დარჩენილა გერმანიის ზოგიერთ სახელმწიფოში, რუსეთის ერობები და ქალაქის საბჭოები დამყარებულია ქონებრივ ცენზზე; ამათ შეინახეს და გააძლიერეს კიდევ თავიანთი ხასიათი 1890 და 1892 წლ. კანონების შემდეგ, რომელთაც პირველი ადგილი, წოდებრივ პრინციპის ცოტად განახლებასთან ერთად, მიწისა და ფულის დიდს კაპიტალს მიანიჭეს. ყველაფერი ეს შედეგი იყო თავდაპირველ მოგროვების ხანისა, რომელიც რუსეთმა განიცადა გლეხების განთავისუფლების შემდეგ.

გათავდა თავდაპირველ მოგროვების ხანა, რომელიც ძლიერ გასაჭირში აგდებს ხოლმე ხალხს, ფრთა გაშალა და გამარჯვების დროშა ააფრიალა კაპიტალისტურმა წარმოებამ, გაფართოვდა, თითქმის მსოფლიო ბაზარი იდგა ხელში აღებ-მიცემობამ. როგორ მოქმედებს ეს საზოგადოებრივ ურთიერთობაზე? თავდაპირველად კაპიტალისტურ წესწყობილებას თან მოსდევს [illegible] ების ახალ კლასის წარმო [illegible] ბროვა ქარხნების მუშებ [illegible] დვილი სკოლა მუშების [illegible] და ფეხს იდგამს ს [illegible] ძვალსა და რბილში უჯ [illegible] შეგნება, ნათლად ეხატ [illegible]

---

*) იხ. „ცნ. ფურც.“ № 2870.

საც გაგიხსნით და იქიდან ნასესხებ ფულით მამული იყიდეთო, სანამ ყველა ეს მოხდებოდეს, ისევ ძველ წეს-რიგზედ უნდა იცხოვროთ, ღალა, როგორც გიძლევიათ, ისევე უნდა აძლიოთო და სხვ.

გლეხები ისმენდნენ განცხადებას, თავ. ჭავჭავაძის ბრძანება-დარიგებას და თან თავს გარშემო იყურებოდნენ. როცა ღალაზედ ჩამოვარდებოდა ლაპარაკი, ამბობდნენ, ღალას აღარ მივცემთ, რაც გაძლიეთ, ისიც საკმარისიაო, ზოგან—მეათედს მივცემთ. თუ ენებოთ, მიიღონ, თუ არა, ჩვენ მეტის მიმცემნი არა ვართო. სადაც გლეხები მომეტებულათ სახელმწიფო მიწებით სარგებლობენ და ამიტომ სამიწაწყლო მოძრაობა არა ყოფილა, მარტო პოლიტიკური ხასიათისა იყო მოძრაობა, მაგალითად ყვარელში, შილდაში და სხვ. ამ სოფლების მამასახლის, ნაცვლებს მადლობა გადაუხადეს და მაზრის უფროსს დაავალეს მათი წარდგენა მენდლებზედ. როგორც სჩანს, ამ სოფლების მოთხოვნილებათ არ მიუხწევიათ არავის ყურამდე და ვერც აუხსნიათ ის გარემოება, რატომ ამ სოფლებში არ იყო სამიწაწყლო მოძრაობა. ს. საბუეთლებმა მიაქციეს ყურადღება და ერთის გლეხის პირით უთხრეს თავ. ჭავჭავაძეს: თუ მთავრობის მადლობის ღირსი არის ვინმე, ყველაზედ უწინარეს საბატონო გლეხებს უნდა ვეთხრათ მადლობა, რომ აქნობამდის მოვითმინეთ აუტანელი დუხჭირობა და ყოველგვარი უბედურებაო.

როგორც ზემოდ ვთქვით, თავადმა ჭავჭავაძემ თელავის მაზრაში პირველად ვაჩნაძიანში მოახდინა გლეხთა ყრილობა. დილიდანვე შეჰკრიბეს ს. ყურიათუბნის, შაშიანის, კალაურის, ვაჩნაძიანის და აკურის მცხოვრებნი. კარგა ხანი მოუხდათ მოცდა, ვიდრე თ. ჭავჭავაძე ჩამოვიდოდა ს. წინანდლიდან, სადაც ღამე გაათია. ვიდრე მოვიდოდა, გლეხებს ხელის ჯოხები და კომბლები გადააყრევინეს, არც ერთი წკეპლა არ შეანარჩუნეს ხელში. გლეხებს ასეთი საქციელი ძლიერ ეწყინათ. თვით გუბერნატორიც მოვიდა. ჯარის დახვედრის და ცერემონიის შემდეგ თ. ჭავჭავაძემ გაიცნო თავადიშვილები, ყველას ხელი ჩამოართვა, შემდეგ ჩამოუარა გლეხთ, რომელნიც ირგვლივ იყვნენ შემოჰკრივებულნი, ცალ-ცალკე თითო სოფელი. შემდეგ გენ. სტახოვიჩმა წაიკითხა რუსულად ნამესტნიკის მოწოდება, ხოლო ადგილობრივმა მღვდელმა ქართულად. თავ. ჭავჭავაძემ განუმარტა დაწვრილებით და ესაუბრა გლეხებს, განსაკუთრებით ს. ვაჩნაძიანელებს, სადაც სცხოვრობენ თავადიშვილები და მოძრაობამ ძლიერად იჩინა თავი. გლეხებმა აუწყეს თავიანთი გაჭირვება და დასძინეს, ან დააკმაყოფილეთ ჩვენი მოთხოვნილება ან არა და ვაჩნაძიანიდან აგვყარეთო. ჩვენ ასეთი უბედური ცხოვრება აღარ შეგვიძლიან, მზად მოყვანილ პურის გალეწვის საშუალებაც-კი არა გვაქვს. რიყეს მიწა დავაყარე, კალო გავაკეთე,—მოახსენა ერთმა,—პური უნდა გამელეწა და თავადმა ამაშიაც-კი ხელი შემიშალა... თ. ჭავჭავაძემ დაარიგა გლეხები, ურჩია მშვიდობიანი ცხოვრება, დაუშალა თავადიშვილების წინააღმდეგი საქციელი, ესაუბრა სხვა სოფლის გლეხებსაც და გაემგზავრა ზემო მხარეს სხვა სოფლებში.

სხვა სოფლებშიაც ეს მოხდა. საბუელები დიდ ხანს ესაუბრნენ თავ. ჭავჭავაძეს და, სხვათა შორის, უთხრეს: თქვენ გვიბრძანეთ, რასაც დამაბარებთ, ნამესტნიკს გადავცემ და ის აგისრულებთო. გადაეცით, რომ ჩვენ საკმაო მიწა მოგვეცეს, რომ ტყე მოგვეცეს, რომ რაკი მიწის ხარჯს ვიხდით, მიწაზე ჩვენი ნამუშევარის ხარჯს ნუღა გადაგვახდევინებს. რასა ჰგავს? მე მიწაზე ჩემის ოფლით შრომით ვაზი გამიშენებია, ძლივს შევსწრებივარ იმის ნაყოფს, ოთხი-ხუთი წლის შემდეგ, ღვინოს ვაყენებ, არ მეყიდება უგზოობით, ჭაჭა-თხლეს ვხდი, ან სხვას ვახდევინებ, ერთი ბოთლი არაყი ვერ წამომიღია, მუცლის ტკივილის დროს წამლად ვიხმარო, ამაშიაც ბაჟი გადიხადე ერთი ათად მეტი, ვიდრე ღირსო. ბატონო, აღარ მინდა ამ პირობით ვენახი, უნდა მოვხსნა, არა, ისევ ვენახის ხარჯი უნდა გადაიხადო, თუნდა ვაზის ბაღლად ქერი გეთესოს შიგაო. აბა ეს რა სამართალია? მოახსენეთ, რომ მოგვაშოროს ხარჯი მღვდლისა, მოხელეებისა, უსამართლო და უდროვო ბეგარა, მოგვეცეს ნება ჩვენ თავს ჩვენვე მოუაროთ, ნუ იქნება ჩვენსა და ჩვენს მოხელეებს შორის თარჯიმანი, მოგვეცეს ჩვენც შეძლება და საშუალება, რაც ჩვენთვის საჭიროა, ის ვისწავლოთ, ის ცოდნა შევიძინოთ. აბა, რასაც მოგახსენებთ, თქვენ არა სწერთ და რომელ ერთს დაიხსომებთ? რა იმედი ვიქონიოთ, რომ გადასცემთ ხელმწიფის მოადგილეს ჩვენს ნათქვამს? თავ. ჭავჭავაძე დაჰპირდათ, რომ გადავცემო.

ს. კურდღელაურში, სხვათა შორის, სამხედრო მუსიკაც შეეგება თავ. ჭავჭავაძის მოსვლას. კურდღელაურელებმა თავის პასუხში სამიწაწყლო საკითხის შესახებ უთხრეს, ჩვენი ნაჭერი მიწები დაგვიბრუნდეს: ღალას მეათედის მეტს ვერ მივცემთ; დღესაც მიწები ჩვენი მამა-პაპის სახელებს ატარებენ, იმათი შრომით და ოფლით არის გატეხილი, სახნავად ქცეული. გარდა ამისა „უსტავნი გრამოტით“ ბალახი და წყალი უსასყიდლოდ უნდა მოგვეცესო და სხვა.

თავ.-აზნაურთა წინამძღოლმა თავ. ნ. ჩოლოყაშვილმა რამდენჯერმე სიტყვა წარმოსთქვა და გლეხებს ურჩევდა უფრო სწორე გზა აერჩიათ თავის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ჩვენ თქვენი დაუძლურება და დასუსტება არ გვინდა, პირიქით, დიდის სიხარულით მივეგებით თქვენს გაძლიერებას და გაღონიერებასაო, უთხრა თ. ჩოლოყაშვილმა საბუეში გლეხებს, შეირჩინეთ აწინდელი სულის სიძლიერე და გულის სიმაგრე და ნივთიერადაც მალე დაწინაურდებითო.

შენიშვნები ქართულის თეატრისა და სცენის შესახებ

„რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით“?

ყველამ კარგად უწყის, თუ რა დიდი და კულტურული მნიშვნელობა აქვს თეატრს ჩვენს ცხოვრებაში და ამიტომ ამაზე ლაპარაკი უადგილოა, მაგრამ თეატრისა და სცენის მეტ-ნაკლებობაზე სჯა-ბაასი საჭიროც არის და დროს შესაფერიც, მით უფრო ეხლა, როდესაც „ქართული დრამატიული საზოგადოება“ შესაფერისის ელფერით აპირებს იდღესასწაულოს თავისი ოცი და ხუთის წლის არსებობა და ნაყოფიერი მოღვაწეობა ქართველთა შორის.

განა არა, ოცი და ხუთის წლის განმავლობაში ბევრის, მეტად ბევრი რამესი გაკეთება შეიძლებოდა, მეტადრე იმ ფართოსა და დიდს ფარგალში, რომლითაც განსაზღვრულია „ქართულ დრამატიულ საზოგადოების“ წესდება და განსაკუთრებით მისი მთავარი—პირველი და მეორე მუხლი, რომლების ძალითაც დღეს ჩვენ უნდა გვქონოდა: 1. კარგად მოწყობილი და მკვიდრ ნიადაგზე დაფუძნებული სამუდამო დრამატიული დასი; 2. საკუთარი ხელოვნების ტაძარი თეატრი; 3. საკუთარი სათეატრო სკოლა და 4. საკუთარი სათეატრო ორგანო, რომელთა ერთობილი მოქმედება და შეთანხმებული შრომა-მეცადინეობა ქსელივით გაბმული უნდა ყოფილიყო საქართველოს, თუ ყველგან არა, უმთავრეს ქალაქებში მაინც...

დიახ, ბევრი რამ შეიძლებოდა გაკეთებულიყო და გაკეთდებოდა კიდეც, რომ საქმის სათავეში მდგომი და მეთაურნი, თეატრისა და სცენის მოღვაწენი და მუშაკნი თვითმოქმედებისა და საქმიანობის ჟინით უფრო ყოფილიყვნენ გამსჭვალულნი, ვიდრე მცონარეობისა, დაუდევრობისა და „შენ ჩემობის“ მოძღვრებისათვის ეკმიათ გუნდრუკი...

ბევრმა იქნება სთქვას—ესეთ ნაყოფიერი გარჯისათვის დრო არ იყო შესაფერისი და, „ჩვენებური-ძველებური“ დაუდევრობის გარდა, გარეშე მიზეზებიც ხელს უშლიდა ქართულ ხელოვნების ფრთების გაშლასაო და სხვა... ოღონდაც, დრო მაინცა და მაინც არც ისე ხელსაყრელი იყო და პირველ ხანების საერთო ალტაცებას ჩვეულებრივის სისწრაფით ზედ მოჰყვა საერთო გულგრილობა, ფრთების შეკვეცა და ინტერესების მოდუნება, მაგრამ, ქართულის ანდაზისა არ იყოს, „კარგი მოთამაშე კამეჩის ცოხნასაც აჰყვებაო“,—ჩვენის თეატრისა და სცენის გამგებელთ და მოღვაწე-მუშაკთ სწორედ ეგ „სიკარგე“, ეგ რწმენა და სიმხნევე აკლდათ. ტყულიად-კი არ უთქვამს ხალხს „გამხნევდი და გაძლიერდიო!“ ყოველ საქმეს, ნამეტნავად ახლად დაწყებულსა, აძლიერებს და აღონიერებს მხოლოდ სიმხნევე, სიბეჯითე და შრომა, თავგამოდებული შრომა...

ასე თუ ისე, დღეიდან მაინც,—როდესაც კიდითი კიდემდე ყველაფერი გამოფხიზლდა და ცხოველ-მყოფელის სიმტკიცით წინ მიისწრაფის, როდესაც ყველანი იმასღა სცდილობენ, ახალს საფუძველზე დაამყარონ ურთიერთობა და თვით ცხოვრებას ფერი უცვალონ,—ჩვენც, ოცი და ხუთის წლის მოლოდინის შემდეგ მაინც, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ქართული თეატრი და სცენა განახლდება და მოძალღონიერდება და იმავე ფხიანობას, იმავე ბრწყინვალებას გამოიჩენს, როგორც პირველ ხანებში.

საბედნიეროდ, ამ განახლების სანუგეშო ნიშნები უკვე მოსჩანს: თეატრის დარბაზს მოაწყდა ხალხი, ხოლო წინანდებური რჩეული-კი არა, არამედ უბრალო, მდაბიო ხალხი—დემოსი, რომელიც მომავალში, ეჭვი არ არის, ქართულის თეატრისა და მის მუშაკთა მასაზრდოებელი იქნება... ჩვენს სცენას დიდებული საგანი უდევს წინ და თან მაღალი მოვალეობაც აწევს: განავითაროს და განასპეტაკოს ამ ხალხის, ამ დემოსის გრძნობა-გონება და იმავე დროს აღამაღლოს მის მოთხოვნილებათა გრადუსი ხელოვნების უმაღლეს წერტილამდე; რაც რომ ცხოვრების უკუღმართობამ თუ უსამართლობამ ხალხს დააკლო, თეატრმა და სცენამ უნდა შეუვსოს და შეუსრულოს...

ამ მხრივ პირველ ნაბიჯები უკვე გადადგმულია, და, ღვთისით, უხიფათოდ და წაუბორძიკებლად. ეს ხუთი-ექვსი წელიწადია ხალხი შეგნებულად ეტანება ქართულს წარმოდგენებს და სწორედ ეხლა ჰმართებთ ჩვენის თეატრის გამგებლებს და სცენის მოღვა[illegible]ნი და საქმიანობა. ცხადია, რომ სცენის საშუალებით მეტად ადვილია ხალხის „გულის სიძირკვლამდე“, სულის სიღრმემდე მიღწევა, რადგან მხოლოდ სცენა იძლევა ორკეც შთაბეჭდილებას—ყურთა სმენისა და თვალთა ხილვის საშუალებით, ასეთი იშვიათი ორმაგი ზედ გავლენა მარტოოდენ სცენას შეუძლიან და სწორედ ამით აიხსნება გულწრფელი სიყვარული ხალხისა ქართულ წარმოდგენებისადმი.

მაგრამ ძლიერ საეჭვოა, რომ ძველმა გზამ, ძველმა რეპერტუარმა და ძველმა წესრიგმა საქმის წარმოებისამ დღევანდელი დემოსი დააკმაყოფილოს და ამიტომ, უწინარეს ყოვლისა, უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს რეპერტუარის განახლებას და მის გონიერ შეფერებას აწინდელ მოთხოვნილებასთან, აწინდელ საჭირ-ბოროტო და მწვავე საგნებთან „წყეულ საკითხების“ ასახსნელად და გადასაწყვეტად...

ძველი მწიგნობარი

[illegible] ქრონიკა

გლეხთა მოძრაობის განახლება. სარატოვის გუბერნიის ატკარსკის მთელი მაზრა აგრარულ მოძრაობით არის თურმე გარემოცული. ამისი მიზეზი გლეხთა უკიდურესი და თავდაუხწეველი მდგომარეობა ყოფილა. საშინელ ხანგრძლივ გვალვის გამო ჭინახული და ბალახი სრულებით მომკვდარა; სიცხეების გამო ხშირად ცეცხლიცა ჩნდება თურმე სოფლებში და მთელ მაზრას შიმშილი თურმე მოელის. საქონელს უბალახობით სული აღარ უდგია და ნახევარ ფასადაც ველარ ჰყიდიან თურმე ბაზრებში. ამისთანა გაჭირვებულ მდგომარეობისა გამო გლეხები შესევიან მებატონეების მამულებს და ძალად მკიან და იტაცებენ ჭინახულსა და თივას. ზოგი მემამულე შიშისაგან მამულს თავს ანებებს და ქალაქში მიდის. მთავრობა, რასაკვირველია, თავისას სცდილობს და ყველგან ყაზახებსა და სალდათებს ჰგზავნის მშვიდობიანობის დასაცველად, მაგრამ ხალხსა და ჯარს შორის ხშირად შეტაკება ხდება. პეტროვის მაზრაში თვით გუბერნატორი იმყოფება თურმე ორის როტა ჯარით. ამდენისავე ჯარით ვიცე-გუბერნატორი ამშვიდებს ხალხს სერდობის მაზრაში. („რ. ვ.“).

პოლიტიკური შიში. რადგან ამ ბოლო დროს მეტის მეტად გახშირდა პოლიციელებზე თავდასხმა და ხოცვა-ჟლეტა, ვარშავაში თითქმის პოლიციელები სრულებით თავს ანებებენ თურმე სამსახურს. („ს. ო.“).

სახარება მოლოროსიულ ენაზე. საიმპერატორო სამეცნიერო აკადემიას ლაპარაკი აღუძრავს სახარების გამოცემის შესახებ მოლოროსიულს ენაზე. სახარება კიდეც გადაუთარგმნია ერთ მალოროსს მორაჩევსკის, მაგრამ უწმ. სინოდს, როგორც ამბობენ, შეუძლებლად დაუნახავს თურმე ამ ენაზე სახარების გამოცემა. („რ. ვ.“).

სამსახურის თავის დანებება. პოლონურ გაზეთების სიტყვით, კალიშის რკინის გზის ვიცე-დირექტორს ინჟინერ კარპინსკის ამ ბოლო დროს სამსახურში ყოველივე მიწერ-მოწერა პოლონურ ენაზე შემოუღია, მაგრამ, რადგან მთავრობის მხრივ დაბრკოლებას ჰხედავდა, სამსახურისთვის თავი მიუნებებია და პოლონეთიდან მიდის თურმე. ამავე პირობისა გამო მომრიგებელი მოსამართლე ღუნაკოვსკიც თავს ანებებს სამსახურს. (რ. ვ.“).

ქარხნების დახურვა გაფიცვა-არეულობის გამო. მუშათა ხშირ გაფიცვებისა და არეულობის გამო ნიჟნი-ნოვგოროდის სორმოვსკის ქარხნები 1 აგვისტოდან დირექტორის განკარგულებით იკეტება თურმე. (რ.).

ნამესტნიკობის შემოღება ფინლიანდიაში. პეტერბურგში ხმა დადის, რომ ფინლიანდიაში ნამესტნიკობა უნდა იქმნას შემოღებული. ამ თანამდებობაზე ასახელებენ

ინტერესები როგორც ნივთიერი, ისე სულიერი. მუშები თანდათან ერთდებიან, აარსებენ ორგანიზაციებს და თავიანთ მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ მიისწრაფვიან; ისინი ითხოვენ სამუშაო ქირის მომატებას, სამუშაო დროს შემცირებას, თავიანთ ჯან-საღობისა და ოჯახების კეთილ-დღეობის უზრუნველ-ყოფას. ამგვარი მოთხოვნები ხშირად ვერ აღწევენ მიზანს, დიდი გაჭირვებაც მოსდევს მათ, მსხვერპლიც არა იშვიათი მოვლენაა, ხშირად ბრძოლით აღებული ხელიდან ეცლებათ, მაგრამ ეს ერთხელ კიდევ უმტკიცებს მებრძოლთ, რომ მათ შორის ერთობა და საერთო ინტერესების შეგნება არაა ჯერ კიდევ განმტკიცებული. ეს ერთხელ კიდევ ჩასძახებს მათ, რომ საჭიროა მტკიცედ შეკავშირება, შეურყეველ საძირკველის ჩაყრა და ამაზე საერთო საქმეების აშენება, საჭიროა შექმნა ახალ წეს-წყობილებისა და დაწესებულებებისა, რომელიც უზრუნველ უნდა ჰყოფს მუშათა კლასის სოციალურ გამარჯვება-წარმატების სიმტკიცე. ამგვარად მუშათა კლასს თვალ-წინ ებადება სამკვდრო-სასიცოცხლო, აარსებო საკითხი, საკითხი დემოკრატიულ წარმომადგენლობის შესახებ. საყოველთაო საარჩევნო უფლება შეადგენს მუშათა კლასის აუცილებელ საჭიროებას და ამასთან იგი სრულიად შესაფერისია არსებულ კაპიტალისტურ წეს-წყობილებისათვის: განვითარებულ კაპიტალიზმს არ შეუძლიან ისე არსებობა, თუ თავისუფალი კონკურენცია არ არის. თუ თავისუფალ საგაჭრო-სამრეწველო საქმეში ერთნაირის უფლებით არ არის მოსილი ყველა კონტრაგენტი; ყოველივე საგაჭრო-სამრეწველო მორიგება ითხოვს, გაუქმებულ იქმნას ყოველივე უპირატესობა, რაც ხელს შეუშლის სამეურნეო ძალთა თავისუფალ შეჯახებას საქმეში არა ეკონომიურ ელემენტების შეტანით, ეს რომ ასეა, ამას შემდეგის მაგალითიდან დავინახავთ: წარმოვიდგინოთ, რომ სრულის უფლებებით აღჭურვილი კაპიტალისტი ქირაობს ისეთს მუშას, რომელიც ბატონ-ყმურ დამოკიდებულებაშია მესამე პირისაგან. ასეთ ყმა-მუშას, რა თქმა უნდა, არ შეუძლიან თავისი თავის ბატონი იყოს სავსებით, არ შეუძლიან, როგორც უნდა, ისე მოეპყრას თავის პირადობას, ვინაიდან ბატონს ნება აქვს ყოველ წუთს თავისთან დაუძახოს. ამას გარდა ასეთი მუშა ვალდებულია ბეგარა აძლიოს ბატონს, რაც, თავის მხრივ, ჰკვეცს ხოლმე სამუშაო ხელფასს. ბოლოს ასეთ მუშის მიერ აღებული ფასი შრომისა, კანონის ძალით, შეადგენს არა იმის, არამედ მისის ბატონის საკუთრებას, რაც ასუსტებს მუშის სამუშაო ენერგიას. ყველაფერი ეს ხელს არ მისცემს არამც თუ ყმა-მუშას, არამედ მის დამქირავებელსაც. ამგვარად კაპიტალისტურად განვითარებულ საზოგადოების აუცილებელ ეკონომიურ საჭიროებას შეადგენს ყველა მისის წევრის გათანასწორება და გაერთიანება უფლებებით; ამის ლოღიკური შედეგი კი საყოველთაო საარჩევნო უფლებაა. აი რატომაა, რომ საყოველთაო საარჩევნო უფლება გამეფებულია თანამედროვე მოწინავე ქვეყნებში.—საფრანგეთსა, გერმანიასა, და შეერთებულ შტატებში.

რადამ გამოიწვია ორ-პალატიანი სისტემა? უკვე დავინახეთ, რომ უნიტარულ სახელმწიფოებში ეს სისტემა სახალხო წარმომადგენლობის ახალ პრინციპების ძველთან, ისტორიულ წარსულის მიერ გადმოცემულ პრინციპებთან შეერთების შედეგია. ასე, მაგალითად, საფრანგეთის დეპუტატთა პალატა ტიპიური, ახალი დემოკრატიული სახალხო წარმომადგენლობაა, მისი სენატი კი ნამდვილად ნაშთებია ძველის ცენზიანის სისტემისა იმიტომ, რომ, თუმცა სენატში საარჩევნო ცენზი არ არის დადგენილი, მაგრამ სენატში არჩევნების (მუნიციპალიტეტების საშუალებით) მარტო ორკეცი სისტემა საკმარისია, რომ მსხვილმა ბურჟუაზიამ გაიმარჯვოს. ფედერატიულ სახელმწიფოებში, რომელთაც ეკონომიურად და ტერიტორიალურად ერთნაირად ძლიერი პოლიტიკური ერთეულები შეადგენენ, მეორე პალატა ამ ერთნაირ ძლიერების გამომხატველია. მაგრამ თუ ფედერაციას შეადგენენ ისეთი სახელმწიფოები, რომელნიც ძლიერ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ეკონომიურად და ტერიტორიალურად, იმ შემთხვევაში მეორე პალატა მეტია, რასაც ჩვენ ვხედავთ გერმანიაში.

ხალხის წარმომადგენლობის სხვა და სხვა ფორმის შემქნელ და მასაზრდოებელ რეალურ პირობათა შესწავლიდან ის საყურადღებო დასკვნა გამოგვყავს, რომ დემოკრატიულ სახელმწიფოს შესაფერი საარჩევნო უფლება არის საყოველთაო, საარჩევნო უფლება და სადაც წმინდა დემოკრატიაა, იქ ადგილი არ აქვს ორ-პალატიან სისტემას. მხოლოდ ფედერატიულ სახელმწიფოებში—და ისიც ზემო აღნიშნულ პირობებში—აქვს ადგილი ორ-პალატიან სისტემას, რომელიც არ საზღვრავს დემოკრატიულ პრინციპს.

მაგრამ ძლიერ საყურადღებოა ერთი მოვლენა. ზოგიერთები თავგამოდებით იცავენ ხოლმე დემოკრატიულ პრინციპის შებღალვა—შეზღუდვას სახალხო წარმომადგენლობის საქმეში და მოჰყავთ ისეთი საბუთები, რაც, პირველ შეხედვით, გვგონებათ პროგრესიულ ტენდენციებს მოკლებულიაო. საჭიროა კბილი გავუსინჯოთ ყველა ამისთანა საბუთს და ჯეროვანი მსჯავრი დავდოთ.

გამამართლებელ საბუთად არისტოკრატიულისა და წოდებრივ წარმომადგენლობის მომხრეთ ის მოჰყავთ, რომ თავად-აზნაურნი, ბუნებითვე კეთილშობილნი, წმინდა სისხლისა და თეთრის ძვლების პატრონნი არიან, ყველა დანარჩენი წოდებანი კი (როგორც რუსეთში ამბობდნენ ხოლმე მე-XVIII-ე საუკუნეში) „ფლიდები“ არიან, მათ შავი ძვალი აქვთ; ხშირად ძველს ფრანგულ თქმულებას ასახელებენ ხოლმე, რომ „თავად-აზნაურობამ უნდა იმსახუროს, სასულიერო წოდება—ღმერთს ევედროს, დანარჩენმა ნაყარ-ნუყარმა ხალხმა კი გადასახადები იხადოს“-ო. მაგრამ თავი დავანებოთ ამ ყოვლად საწყალსა და ლიტონ ფრაზებს, რომელიც ნაკარნახევია არისტოკრატიულის მედიდურობისა და ტლანქის ეგოიზმისაგან და ამიტომ ამ ჟამად მოკლებულია ყოველსავე გასავალს. ერთი არგუმენტი კიდევ აქვთ ხელში წოდებათა მომხრეებს: იმათ დაუხვევიათ ხელზე და გაიძახიან, მმართველ კლასს პოლიტიკური გამოცდილება აქვს, პრივილეგიის მქონენი იმთავითვე სათავეში უდგნენ სამშობლოს და ამიტომ გაწვრთნილები და შეგნებულები არიან და, ხომ გაგიგონიათ, პური მეპურეს გამოაცხობინე, ერთი აბაზი მეტი მიეცი, და აი სწორედ ამიტომაა, რომ პოლიტიკური ძალა უნდა ჰქონდეთ ხელთ იმისთანა პირთ, რომელნიც გაწვრთნილ-შეგნებულნი არიან პოლიტიკურად, გამოცდილებს შეუძლიათ ქვეყნის მართვა-გამგეობაში. ამ არგუმენტსაც იმდენი ძალა და დონე აქვს, რამდენიც ზემოდ მოყვანილს: ბიუროკრატებსაც ხომ აქვთ გამოცდილება მართვა-გამგეობის საქმეში და ამიტომაა, რომ თავისი თავი ქვეყნის მარილად მიაჩნიათ, ხოლო ქვეშევრდომები კი სუსტის ჭკუის ადამიანებად; მაგრამ ვინ ჭკუათმყოფელი იტყვის, რომ ამ ბიუროკრატიამ კარგად წაიყვანა მართვა-გამგეობის საქმე, ვინ იტყვის უარს მის წინააღმდეგ ბრძოლაზე, ვინ იქმნება თანახმა, რომ კვლავაც მის ხელში იყოს ხალხის ბედ-იღბალი. და ეს ასეც არის: ხომ უსიცოცხლო, უსარგებლო და მავნებელი რუტინაა ისეთი გამოცდილება, რომელსაც არ ასაზრდოებს ცხოველ-მყოფელი წყარო, თუ მას ხელმძღვანელად არა ჰყავს ხალხის გაჭირვების ცოდნა, თუ ხალხის მესვეურნი ხალხის ღვიძლი შვილი, მისი ჭირ-ვარამის ზედ-მიწევნით მცოდნე პირი არ არის ამ გამოცდილების გამტარებელი ცხოვრებაში. ვინღა დაამტკიცებს ამა თუ იმ პირის ცოდნას ხალხის გაჭირვებისას, ამა თუ იმ პირის გულ-წრფელობა-ალღოიანობას ხალხის საქმის მართვა-გამგეობაში, თუ არ იგივე ხალხი.

რაც ქონებრივ ცენზის გამართლებას შეეხება, ამის საბუთები ხომ აშკარებენ წოდებრივობისას თავიანთის გულ-უბრყვილო და ყოვლად ბავშვურის შინაარსით: მდიდარი კაცები ბევრ ხალხს არჩენენ—ამბობენ. ფაბრიკანტები დიდის რიხით გაიძახიან ხოლმე—ამდენ და ამდენ ათას მუშას ვარჩენთო. მაგრამ ამასთან განგებ ივიწყებენ, საიდან სქელდება მათი ჯიბეები, ივიწყებენ იმ ინტერესებს, რომელთაც ემსახურება მათი საქმე, ივიწყებენ, რომ დირებულების შემქნელი უმთავრესი ფაქტორი—შრომა სუსტად ფასდება, სდუმან იმაზე, რომ შრომის მოხმარის შედეგი ზედმეტ ღირებულობის შექმნაა, რომლის ერთი ნაწილი შემდეგს წარმოებას ხმარდება, მეორე ნაწილს კი თვითონ კაპიტალისტი იდებს ჯიბეში. იშვიათია ისეთი კაპიტალისტი, რომ არ იცოდეს ზემოხსენებული ჭეშმარიტება, მაგრამ თუ არსებობს ისეთი უვიცი, იმ შემთხვევაში, გიმეორებ, ძლიერ გულ-უბრყვილო და ტლანქია მისი აზრი კლასთა დამოკიდებულობის შესახებ.

ამგვარად ჩვენ, შეძლების დაგვარად, უარვყავით ცენზი, წოდებრიობა და არისტოკრატიზმი, დაუგრეხ კიდევ ორის პალატის სისტემა, რომელსაც საფუძვლად საყოველთაო ხმის მიცემის სხვა და სხვა კომბინაციები უდევს. ამ სისტემის დასაცველად დემოკრატიულ სახელმწიფოებისთვისაც-კი შემდეგი მოსაზრებანი მოჰყავთ: 1. ორ-პალატიანი სისტემა ყველგანაა გავრცელებული, ყველა კონსტიტუციონურ სახელმწიფოში; 2. საჭიროა, რომ პოლიტიკურად აღზრდილი და გამოცდილი პირნი, არ ჩაახრჩოს მართვა-გამგეობის საქმეების არ მცოდნე მასსამ და ამიტომ საჭიროა, რომ მათ ცალკე იქონიონ საკუთარი ადგილი ზემო პალატა, 3. უნდა გამოყოფილ იქნას ცალკე ოლქების ინტერესები, დაცულ იქნეს ადგილობრივი თვისებანი და ამ აზრით შესდგეს მეორე პალატა ადგილობრივ ინტერესთა წარმომადგენელთაგან, რომელი ინტერესებიც მჭიდროთ იქნება შეკავშირებული ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებთან; 4. ტეხნიკური მოსაზრებაც ამართლებს ორ-პალატიან სისტემას; ის უზრუნველ-ჰყოფს საზოგადოებას ხალხის წარმომადგენელთა უზომო გატაცებისაგან, ვინაიდან ზემო პალატა თავს შეაკავებინებს ქვემოსას და 5. ორ-პალატიანი სისტემა საშუალებას იძლევა, უფრო ადვილად გაიმარჯვოს კონსტიტუციამ რეაქციაზე, რაც არაა ერთ-პალატიან სისტემის დროს, იმიტომ, რომ რეაქციისთვის უძნელესია ბრძოლა ორის პალატის წინააღმდეგ, ვიდრე ერთისაო. პირველი ამ არგუმენტთაგანი უძლურია იმ უბრალო მიზეზისა გამო, რომ, ჯერ ერთი, ტყუილია ის აზრი, ვითომ ყველგან არსებობდეს ორ-პალატიანი სისტემა. პატარა სახელმწიფოები საბერძნეთი, სერბია ან ბულგარეთი რომ არ მივიღოთ სახეში, ერთ-პალატიანი სისტემა შეუთვისებია ისეთ დიდს პოლიტიკურ ორგანიზმს, როგორიც გერმანიის იმპერიაა, სადაც საკანონმდებლო უფლება რეიხსტაგს აქვს ჩაბარებული, იმპერიის მთავრობასთან არსებული მოკავშირეთა საბჭო სრულებით არ არის მეორე პალატა თავის ფუნქციებით და წევრებით: მას შეადგენენ გერმანიის სხვა-და-სხვა სახელმწიფოების ელჩები და იგი მხოლოდ რჩევას აძლევს მთავრობას კანონ-პროექტების შესახებ, ე. ი. ის ისეთი დაწესებულებაა, სადაც მხოლოდ სჯა-ბაასი და რჩევა აქვთ კანონების შესახებ.

ზემოდ ჩვენ აღვნიშნეთ იმ არგუმენტის უძლურება, რომლის ძალით ამტკიცებენ უმცირესობას უპირატესობა უნდა მიეცეს, რადგანაც მას პოლიტიკური გამოცდილება აქვსო: რუტინერები-კი არ უნდა ირჩეოდნენ ხალხის წარმომადგენლებად, არამედ ისეთი პირნი, რომელთაც პოლიტიკურ გამოცდილებასთან ერთად შეურყეველი რწმენა, ცხოვრებისა და ხალხის ინტერესების ცოდნაც აქვთ. ამასთან არ შეიძლება იმ ფაქტის უარ-ყოფა, რომ მასსა უკვე გამოიცადა პოლიტიკურად: ის მონაწილეობას იღებს საგლეხო წოდებრივ დაწესებულებებსა და სხვა და სხვა ორგანიზაციებში.

ალ. ლომთათიძე

(შემდეგი იქნება)

გენერალ-ადიუტანტს კლეიგელ[illegible]ც პეტერბურგში თურმე ჩამოსულა. („რ. ს.“).

ახალი სასწავლო გეგმა. ამ წელს გიმნაზიების მე-7 კლასში განზრახულია ბერძნულ ენის სწავლების მოსპობა. ნაცვლად ამისა საერო განათლების სამინისტრო ფიქრობს შემოიღოს ორი ახალი საგანი: კანონთა ცოდნა და ფილოსოფია. პირველ საგნის მასწავლებლებად პატარა ქალაქებში სასამართლოს მოხელეებს მიიწვევენ. („რ.“).

შავი რაზმის რაინდები და იმათი თავგასულობა. ნიჟნი ნოვგოროდში შავი რაზმი დარევია ქუჩაში მიმავალ მშვიდობიან ხალხს და ცემა დაუწყია. ზოგს სახლებშიაც თურმე უვარდებიან და უწყალოთა სცემენ. ბევრი დაუხოციათ და დაუსახიჩრებიათ. სხვათა შორის მოუკლავთ ქალაქის საბჭოს ერთი მოხელე, რის გამოც საბჭოში დროებით შეუწყვეტიათ საქმის წარმოება და განზრახვა აქვთ მოახდინონ საგანგებო სხდომა, და მოისაზრონ რაიმე ღონის ძიება მცხოვრებთა დასაცველად თავზე ხელ აღებულ ხულიგანებისაგან.

18 ივლისს კიშინევის ქალაქის ბაღში თავს დასხმია ხალხს შავი რაზმის რაინდები, რომელნიც კეტებით შეიარაღებულნი ჩამდგარან კარებში და დასდევნებიან ბაღიდან გამოსულ საზოგადოებას. იმავე საღამოს თეატრშიაც სწვევიან საზოგადოებას, გუბერნატორის სადგომის პირდაპირ და უფრენიათ თავზარ დაცემული ხალხი. („პრ.“).

ხალხის მისევა ებრაელებზე. როცა პორტ-არტურიდან დაბრუნებული მუშები მისულან მთავრობასთან და შემწეობა უთხოვნიათ, ოდესის პოლიცმეისტრის თანაშემწეს ასე უთქვამს: „ურიებს მიჰმართეთ, დიდი შეძლების პატრონები არიანო“... ქუჩის დარაჯები აშკარად აქეზებენ თურმე დაბალ ხალხს ებრაელების წინააღმდეგ და აცემინებენ. ოდესის უკანასკნელ არეულობის მოთავეებად მართებლობის უწყებებში ებრაელები არიან დასახელებულნი. პოლიციაც ამასვე ეუბნება თურმე 20,000 დამშეულ მუშებს, რომელნიც მზად არიან გაძარცვონ ყველანი, ვისაც-კი მოასწრობენ. ამასვე ჩასჩიჩინებენ თურმე სალდათებსაც. ოდესის ებრაელები დარწმუნებულნი არიან თურმე, რომ უკეთუ შეტაკება მოხდა, უმთავრესად ჯარი იქნება ამისი მიზეზიო. („პრ.“).

გლეხთა მოძრაობა. კურლიანდიის გუბერნიის სხვა და სხვა გუბერნიებში მეტად გამწვავებულა ხალხის მოძრაობა. თავს ესხმიან და იტაცებენ თურმე მემამულეების წლის მოსავალს. 18 ივლისს 60 გლეხს მოუკლავს მებატონე ბარონ ბისტრამი და მოიჯარადრე მეჟენაკენი. გრობინიდან დაუბარებიათ ჯარი ორდანგენის, ვიბინგენის, ამბოტენისა და სხ. მემამულეთა დასაცველად. მოუკლავთ მამასახლისის თანაშემწე. მიტავის ახლო-მახლო სოფლებშიაც ემზადებიან თურმე ამ გვარისავე მოძრაობისთვის. („რ. ვ.“).

აგრარულ-რევოლიუციონური მოძრაობა. ტირასპოლიდან ატყობინებენ „რ. ს.“-ს, რომ იქ ჩაუყვანიათ მაზრებიდან აგრარულ-რევოლიუციონურ მოძრაობის მოთავეთა ორი ჯგუფი. ადმინისტრაცია ოფიციალურად აცხადებს, რომ მთელ მაზრაში მეტად ვრცელდება მთავრობის საწინააღმდეგო წიგნები და პროკლამაციებიო („პრ.“).

თოფების მოპარვა ხარკოვში, „რ. ს.“-ს სიტყვით, ერთის პოლკის ბანაკიდან მოუპარავთ რამდენიმე სახელმწიფო თოფი. („პრ.“).

პასუხად ბ-ნ იაკობ გოგებაშვილს

(წერილი რედაქციის მიმართ).

ჩვენი პატივცემული პედაგოგი, იაკობ გოგებაშვილი, თავის წერილში „Безправіе грузинскаго языка и самыхъ грузинъ въ учебной области на Кавказѣ“, რომელიც დაბეჭდილია რუსულის გაზეთის „Разсвѣтъ“-ის № 113-ში, სხვათა შორის, შემეხო მეც. იგი ამბობს, სახალხო სკოლათა დირექტორებს შორის არის მხოლოდ ერთი ქართველი და ისიც მსახურობს სამშობლოში კი არა, სადაც შეეძლო უმეტესი სარგებლობა მოეტანა, არამედ სადღაც სპარსეთის საზღვრების მახლობლად, მისთვის უცხო ქვეყანაში; ამას გარდა, იგი ეღირსა დირექტორობის თანამდებობას მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც სცნო შესაძლოდ ლევიტსკის სახელმძღვანელო რუსულის ენისა, რომელიც შემოიღო კიდეც რწმუნებულს მისდამი დირექციაში.

გამოდის, რომ მე მომიწონებია ბუნებითი მეთოდი (უმჯობესად ასე უნდა გავიგოთ ამ შემთხვევაში ლევიტსკის სახელმძღვანელოს ხსენება) და ამის შემდეგ მიუცვნივარ დირექტორობის თანამდებობის ღირსად სასწავლო მთავრობას. ამგვარად ბატონი გოგებაშვილი ბრალსა მდებს ანგარიშებით მოქმედებისას იმისთანა საქმეში, როგორიც არის ავად თუ კარგად სწავლება მოზარდ თაობისა. მოვიწონე, მისის აზრით, ის, რაც მოსაწონი არ არის, და მოვიწონე იმ ანგარიშით, რომ ჩემს უფროსებს დავესაჩუქრებოდ დირექტორობის თანამდებობით. მიკვირს, რად ინება პატივცემულმა პედაგოგმა ასე ცუდად ხსენება ჩემი? რა საფუძველი ჰქონდა ამისათვის? კიდეც რომ მომეწონებინოს მართლა ბუნებითი მეთოდი და ამის უტყუარი საბუთიც ჰქონდეს ხელში, განა ეს საკმაო იქმნებოდა ბრალდებისათვის? არა, არ იქმნებოდა! საიდან იცის ბ-ნმა გოგებაშვილმა, რომ დარწმუნებული არა ვარ ბუნებითის მეთოდის ვარგისობაში და გულწრფელად არ ვიქცეოდი მისს მოწონების დროს, არ ვამბობდი მას, რასაც დარწმუნებული ვიყავი? ნუ თუ არა ჰყავს ამ მეთოდს იმისთანა მომხრეები, რომელნიც დარწმუნებულნი არიან მისს უპირატესობას და ამისათვის უფრო სასარგებლოდ სთვლიან მას სხვა მეთოდთან შედარებით? იქმნება მეც ამ პირთ ვეკუთვნი და იმიტომ მოვიწონე კიდეც ხსენებული მეთოდი?

ბ-ნი გოგებაშვილი ცნობილი მოწინააღმდეგეა ჩვენში ბუნებითის მეთოდისა, რომელზედაც შედგენილია ლევიტსკის წიგნი, და იმავ დროს სახელმძღვანელოს ავტორისაცა, რომელიც ამტკიცებს იმ მეთოდის უპირატესობას, რომელზედაც მისი, იაკობ გოგებაშვილის, წიგნია შედგენილი, მაგრამ აქედან განა შეიძლება ის დასკვნა გამოვიყვანოთ, რომ იგი ანგარებით ხელმძღვანელობს და აძაგებს სხვა ავტორის წიგნს იმისთვის, რომ თავისი წიგნი რაც შეიძლება უფრო მეტი გაასაღოს? არა, ამგვარად ფიქრის და თქმის ნებას მე ჩემს თავს არ მოვსცემ, არ ვკადრებ მისს ჭაღარას და ხანგრძლივს მოღვაწეობას სწავლა-აღზრდის საქმეში. რად ფიქრობს ბ-ნი გოგებაშვილი, რომ მხოლოდ მას შეუძლიან უანგაროდ მოქმედება და სხვას არა? განა უანგაროდ და პატიოსნად მოქმედება მისი უპირატესობაა და სხვას არა აქვს ამისი ნება? მე საბუთი არავისთვის მიმიცია ჩემდამი ამისთანა ბრალდებისა არც შორეულის ჩემის წარსულით და არც უკანასკნელ წლებში. ან და რა ჯაჭვდა ეს დირექტორობა ჩემთვის ისეთი, რომ სიმართლის ღალატი დამწამოს ვინმემ? რა გასაკვირველია, რომ კაცს, რომელიც სწავლა-განათლების საქმეს ემსახურება განუწყვეტლივ 1874—1875 წლიდან, დირექტორობა მისცეს სკოლებისა ამ ოთხის წლის და ნახევრის წინად და ისიც ცხრა მთას იქით, სპარსეთის საზღვარზე? ოცდაათი წლიწადის [illegible] შეძლებისა დაგვარად სწავლა-აღზრდის ასპარეზზე და აქედან ორი წილი დრო მომახმარებია იმ სასწავლებლებისათვის, რომელთა დანიშნულება იყო და არის ჩვენის საზოგადოების, ჩვენის ხალხის შვილების აღზრდა. ეს დრო, საუკეთესო წლები ჩემის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისა, შემოწირავს ჩემდა წმიდად საქმისათვის. ამით ცოტაოდნად ვალი მომიხდია ქვეყნის წინაშე და ამისათვის არავინ შემოწუხებია რითმე. ძლიერ ვსწუხვარ, რომ ყველა ეს 30 წლიწადი სრულად ჩვენს სამშობლოში ვერ ვიმსახურე, რომ ამ ჟამადაც იმ სასწავლებელში არა ვარ მშრომელი, საიდანაც წავედ უკანასკნელად, მაგრამ, რა მიზეზიც იყო იქ ჩემიერ სამსახურის თავის დანებებისა, თვით ბ-ნმა გოგებაშვილმა და მისმა მეგობრებმა კარგად იციან და ამის თაობაზე საჭიროდ არა ვთვლი დაჰარვის გაგრძობას; ვიტყვი მხოლოდ, რომ არც იმ სასწავლებელში სამსახურის თავის დანებება, არც სახელმწიფო სამსახურში შესვლა ჩემი და არც დირექტორის თანამდებობის მიღება არავითარს საბუთს არ აძლევს ვისმე ხელი წამომკრას და ცუდად მახსენოს.

ახლა თუ იმასაც მოიხსენებს მკითხველი, რომ მე სრულიად არა ვარ მომხრე მეთოდისა, რომელიც უარს ჰყოფს სამშობლო ენის მონაწილეობას უცხო ენის შესწავლაში, რომ მე მომხრე ვარ იმისიც, რომ სხვა საგნებიც აუხსნან მოსწავლეთ სამშობლო ენაზე და ამის დასამტკიცებლად შემიძლია მითითება წერილობით საბუთზე, მაშინ კიდევ უფრო გასაკვირველი იქნება, რად ინება ასე უსამართლოდ ხსენება ჩემი ბ-მა გოგებაშვილმა.

თერგის დირექციის უფროსის თაოსნობით და ოლქის მზრუნველის ნებართვით მე გაგზავნილი ვახლდით (მაშინ სახალხო სკოლების ინსპექტორად ვიყავი თერგის დირექციაში) ქალაქს გორსა და ქუთაისის გუბერნიაში, როგორც მახსოვს, 1898 წელს, პირველ დაწყებით სკოლების დასათვალიერებლად, რათა გვეცნობდი, მართლა უმჯობესია ბუნებითის მეთოდით სწავლება რუსულის ენისა, როგორც იგი შემოღებულ იქმნა ამიერ-კავკასიაში, გინდ სხვა არსებული მეთოდი? ჩამოველ ამიერკავკასიაში, დავათვალიერე სკოლები, გორის სემინარიასთან არსებული, რამდენიმე სკოლა ქუთაისის გუბერნიაში, მოვისმინე გაკვეთილები ხსენებულ სკოლებში, მოსწავლეებიც გამოვცადე და შემდეგ წარვუდგინე თერგის დირექციის უფროსს ანგარიში ჩემიერ ნახულისა. ანგარიში მოთავსებულია 20-22 თაბახზე. იგი, უეჭველია, შენახული იქნება ოლქის მზრუნველის კანცელარიაში. პირი მისი მე მაქვს შენახული. ამ ანგარიშში ჩემ მიერ ნაჩვენებია ნაკლულევანებაც და ღირსებაც ბუნებითის მეთოდისა და მოყვანილია ვრცელი მოსაზრება იმის თაობაზე, რომ შეკნებულად რუსულის ენის შესწავლისათვის აუცილებლად საჭიროა დახმარება მოწაფეთა სამშობლო ენისა, მისის საშუალებით ახსნა და განმარტება უცხო ენის სიტყვებისა. იქვე გატარებულია ის აზრი, რომ სწავლა-აღზრდის უმჯობესად დაყენებისათვის საჭიროა სხვა საგნების გაკვეთილების ახსნაც სამშობლო ენაზე. სამწუხაროდ, ეს ანგარიში, რომელიც მოიწონა თერგის დირექციის ყოფილმა უფროსმა, ბ-ნმა კრუშევსკიმ, არ დაიბეჭდა, თუმცა კრუშევსკიმ სთხოვა მაშინდელ ოლქის მზრუნველს, ბ-ნ იანოვსკის, რომ ანგარიში გამოქვეყნებულიყო „ცირკულარში“—ჭეშმარიტების გამოსარკვევად, თუ როგორ სჯობია სკოლებში რუსულის ენის სწავლება.

ხსენებული ანგარიში გაგზავნილ იქმნა ოლქის მზრუნველის მიერ გორის სამასწავლებლო სემინარიაში და იქ წაკითხულ იქმნა საპედაგოგიო საბჭოს წევრების მიერ, რომელთა შორის ირიცხებიან ქართველნიც ბ-ნნი ნ. ლომოური, ს. გოგლიჩიძე და სხვ.

ჩემი ანგარიში არ ეთანხმებოდა იმ დროინდელ შეხედულებას სასწავლო მთავრობისას ბუნებითს მეთოდზე და იმას, რაც იმ ხანებში იბეჭდებოდა ოლქის „ცირკულარში“ ამ მეთოდის სასარგებლოდ. ამგვარად უსაფუძვლოა სიტყვები ბ-ნ გოგებაშვილისა, რომელიც სწერს, რომ დირექტორობის თანამდებობა მომცეს, ვითომ დავეცეს მეთოდის მოწონებისათვის (ბუნებითი მეთოდი). **ალ. ჭიჭინაძე.**

(დასასრული იქნება)

წერილები

ძველი-მახაანი (ქიზიყი). დღეს ყველა ჩაბმულია მომავალ ცხოვრების მისაგებებელ ფერხულში. ამან აიყოლია ისინიც, რომელნიც სცდილობდნენ ამ მოძრაობის შეჩერებას. ხოლო ზოგიერთი გაიძვერა ვაჟბატონები, ჯაშუშობით რომ ვერაფერი გააწყეს, ახლა ხალხის ერთმანეთზე გადაკიდებას სცდილობენ. ასე იქცევიან, მაგალითად, სოფ. ძველი მახაანში. ამ სოფელში მამასახლისად აირჩიეს ყმაწვილი კაცი. ყველას იმედი ჰქონდა ამ კაცისა, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა. ახალი მამასახლისი, მიუხედავად მართალ-მტყუნისა, ყველას გვერდებს უჭრელებს. საჩივრებიც შეიტანეს იმაზე, მაგრამ საქმეს არაფერი ეშველა. უფრო გამაყებულმა ადგილობრივმა ხელოსნებზედაც გამოილაშქრა და უქადის გაქრობას, თუ არ წავლენ იქიდან. ამ ხელოსნებში ბევრი მოიპოვება ისეთი, რომელთაც მამა-პაპათი აქ უცხოვრიათ, ზოგს თავის ქვეყანაში გაუყიდნია ადგილ-მამული და აქ დასახლებულა. იმის შიშით ალაზანს გაღმა მცხოვრებ ლეკებს ფეხი ველარ დაუდგამთ. ესენი ქიზიყში გასასყიდად მრავალ-ხილსა და ხის მასალას ეზიდებიან ხოლმე. **ქიზიყელი**

ღამის დეპეშები

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“

25 ივლისი

ბერლინი, 25 ივლისი. გაზეთ „ანცაიგერ“-ის აზრით თანდათან ძლიერდება ის აზრი, რომ ზავის ჩამოგდება მოხერხდება. ეს იმედი დამყარებულია რუზველტის ტალანტზე; რუზველტი ყველაფერის გაკეთებას შესძლებს, რაც შესაძლებელი იქნება ზავის საქმეში.

ვლადივასტოკი. ჩამოახრჩვეს 6 ხუნხუზი ერთის რუსისა და ჩინელის გაძარცვისა და მოკვლისათვის.

ტოკიო, 26 ივლისი. იაპონიის ფლოტმა გადაარჩინა და ტყვედ წაიყვანა გემ „ოლდგამია“-ს ეკიპაჟის 14 წევრი. ორმა ოფიცერმა მიატოვა დაზიანებული გემი და ნავით წავიდნენ კამჩატკისკენ. არ იციან, რა დაემართა მათ. „ბაიან“-ი 2 აგვისტოსთვის წავა პორტ-არტურიდან იაპონიაში. იუწყებიან, რომ რუსები ამურის შესართავს ამაგრებენო. ხაბაროვსკისა და ნიკოლაევსკიდან გაიგზავნა არეული დივიზია გარნიზონის გასაძლიერებლად. ამურისაკენ მიმავალი ფარვატერში ნაღმები ჩააწყეს.

ნიუ-იორკი. განკარგულება მოახდინეს, უპირატესობა ამოეჩინოს რუსეთს ყველა ცერემონიების დროს პორტ-სმუტში. ოფიციალურად ეს იმით მტკიცდება, რომ რუსეთს ელჩი ჰყავს ვაშინგტონში, იაპონიაკი—დესპანიო. „ჰერალდ“-ის ცნობით, თუ მოლაპარაკება ვერ დაბოლოვდა სასურველად, რუზველტს სხვა საშუალება აქვს თანხმობის ჩამოსაგდებად.

ბოსტონი. ვიტტემ და ვილენკინმა გოვარდის უნივერსიტეტი ინახულეს.

პარიზი. რუვიე დასასვენებლად წავიდა რამდენიმე დღით ჟენევის ტბის ნაპირებისკენ.

ვაშინგტონი. იუწყებიან, რომ თითქმის ნიკარაგუას მთელი რესპუბლიკა გადავიდა ამერიკის კომპანიის ხელში.

პეტერბურგი. გათავდა ბჭობა ნავთის კრიზისის შესახებ.

ბათუმი. ნოვოროსსიისკიდან საქონლისა და ხორბლის მატარებელი გემები მოდიან, რადგანაც იქ ვერ დაუცლიათ ტვირთი.

ნოვოროსსიისკი. კავკასიის ნამესტნიკმა საჭიროდ დაინახა 24 ივლისიდან გამოცხადდეს ნოვოროსსისკში გაძლიერებული დაცვა.

სტოკჰოლმი. მეფე ოსკარმა ბრძანება გამოაქვეყნა, ექიმების რჩევით, დასასვენებლად კურორტებზე მივდივარ და ტახტს მემკვიდრეს ვაბარებო.

პეტერბურგი. ტყუილი აღმოჩნდა ის ხმები, ვითომც სამარაში ფულებით სავსე ყუთი ეპოვნონ, რომელიც წითელ ჯვრის იყოო.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

26 ივლისი.

ნიუ-იორკი, 26 ივლისი. „მაიფლოუერ“-ი და „დოლფინ“-ი ბარონ როზენითა და იაპონიის რწმუნებულებით დღეს წავიდნენ ნიუ-პორტიდან. ვიტტე დღეს საღამოს წავა.

ალმორი, 25 ივლისი. აქ 29 ივლისს მოელიან რუს-ტყვე ოფიცრებს ჩრდილოეთ სახალინიდან. ხვალ ალმორიდან იაპონიის ჯარებთან სახალინზე მიკადოს საგანგებო შიკრიკი მიდის.

ხარბინი. აქ ყველაფერი გაძვირდა, მიუხედავად იმისა, რომ საქონელი ბევრია.

ტოკიო. რუსების კატორღელებს სახალინიდან, ალბად, რუსის ნაპირზე გადასხამენ და რუსებს გადასცემენ, სამხედრო ტყვეებს კი იაპონიაში წაიყვანენ.

პეტერბურგი. გაზეთების სიტყვით, განზრახულია საერთო წოდებრივი ბანკის დაარსება, რა მიზნითაც შეაერთებენ სავლეხო და სათავად-აზნაურო ბანკებს. ამ საქმის შესახებ რეფორმები გამოქვეყნდება არა უგვიანეს 1 აგვისტოსა.—განზრახვა აქვთ გურია-სამეგრელოს ეპარქია საქართველოს საეგზარხოსოს შეუერთონ.—საერობო დაწესებულების გადასახადავთ ოქტომბერში მოუწოდებენ საბჭოს. ქალაქის გამგეობის კრებაზე გადაწყვიტეს ქალაქის ყველა კომისიები თავმჯდომარეების თანადასწრებით, რომ შემოღებულ იქნას ქალაქის სამსახურის ყველა დარგში 8—10 საათამდე სამუშაო დრო.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ვ. ჯაბადარი**

განცხადებანი

ქუთაისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამა 1905 წლის ივლისის ოციდან ტფილისში მუდმივად იცხოვრებს ამა ბანკის დირექტორი, დამფასებელ კომისიის წევრი და მამულების გამგე.

ყოველისავე საქმის წარმოება ტფილისის გუბერნიაში სოფლის და ქალაქების დაგირავებულ, თუ დასაგირავებელ მამულების შესახებ, სახელდობრ: სესხის გაცემის თხოვნების მიღება, დოკუმენტების განხილვა და წესიერად გამოწყობა, დაფასება მამულებისა, ანგარიშის გასწორება გამგეობისაგან სესხის გადაწყვეტის შემდეგ, სავალდებულო გადასახადების მსესხებელთაგან მიღება, ვადამდის სესხის მოსპობა, ჩვეულებრივი საჯარო ვაჭრობა იმ მამულებზედ, რომლის სავალდებულო გადასახადები არ იქმნება შემოტანილი, ბანკის მამულების მართვა-გამგეობა, ათი იჯარის გაცემის და გაყიდვის თაობაზედ მოლაპარაკება და დამტკიცება მყიდველის სახელზედ, მოწყობილი იქნება ტფილისს, ქუთაისის ბანკის დირექტორის ვ. ნ. აბულაძის სადგომზედ, ოლღას ქუჩაზე № 4/a, ჩინია დიასამიძის სახლში. ტელეფონი № 445. (წ.)

ტფილისში დაარსდა სპეციალური შრომის მოყვარულთა არტელი. მიიღებს კოტლინი, სამჭედლო და სასლესრო სამუშაოებს. საქმებს პირნათლად და კარგად აკეთებს ადრესი: ელისაბედის ქ. ს. № 190 ოქროევისა. (30—13)

ავჭალაში იჯარით იძლევა

ბაღი

ექიმ მელიქოვისა, ზომით შვიდი დესეტინა. წყალი ბლომად არის. (4—240—2)

გაგალე რესტორანი

„სამშობლო“

(ყოფილი ლუდხანა „სამადლო“).

მამა-დავითის მთაზე „ფუნიკულერი“-ს უკან, ხელ-მარცხნივ, სადაც იყიდება ნამდვილი კახური ღვინო, ცივი ლუდი, კრუშკით და კვარტით, და ყველა მაგარი სასმელი საუკეთესო ფირმებისა. იქვეა სამზარეულო, სადაც მზადდება კავკასიური „ბასტურმის მწვადები“ და ყველა გრილი საჭმელი. ფასი ყველაფერზე ისეთია, რომ მადლობელი დარჩება პატივცემული საზოგადოება.

(3—97—2) პატივცემით **იგნატი ირაძე.**

ტფილისის ქალაქის

გამგეობა

ამით აცხადებს, რომ მე 3, 4 და 5 საპოლიციო ნაწილებში საჭიროა 25—30 ოთახიანი სადგომი ქალაქის ცენტრალურ სამკურნალოსათვის. ვისაც ჰსურს სახლის გაქირავება ამ სამკურნალოსათვის, კეთილ ინებოს და ქალაქის გამგეობას წერილობით აცნობოს თავისი პირობები 16 აგვისტომდე (ნ. 3—2).

იყიდება სახლი ერთ სართულიანი ხუთი ოთახით 120 კვ. საჟენი, ნაძალადევი ვოლოპროვოდის ქუჩა № 165.

(3—2) ნ. მაკაცარია.

ბებია ქალი

სოფიო ილიას ასული გელბორდტ ლოკში

გადავიდა ხაზინის (კაზნაჩეისტვოს) ქუჩა, სახლი № 7 კნ. თუმანოვისა, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. (თვ.—255—8)

✦ კბილებს ✦

ვიღებ, პლომბს ვუკეთებ, ვასუფთავებ, ვსვამ ახალ ხელოვნურ კბილებს და ვაშორებ ცუდ სუნს. გ. მ. იოხველი. მიხეილის ქ., № 108. გერმანელთა ტაძრის პირდაპირ. ხელ-მოკლეებს იაფად. (30—18)

ვეძებ ძიძას რომელიც აიყვანს თავის სახლში სამი თვის ბავშვს გასაზრდელად. ადრესი: ვაგზლის ქ. № 16, სასტუმრო მარსელი, ჰკითხეთ ბუფეტჩიკს. (1—300—1)

ხუთი ახალი წიგნი

წიგნის მაღაზია „ცოდნა“ გამოცემა

სამშობლოსათვის თავდადებულნი	40 კ.
რუსეთის დამყარება საქართველოში	20
ათი მოთხრობა ივ. მაჭავარიანისა	20
ხალხური ვეფხის ტყაოსანი	10
იაპონია ნ. ნიკოლაძისა	20

დარბაზის კედლისად მოსართავი სურათები:

შოთა რუსთაველისა დიდი 50 კ. აკაკისა 40 კ. ილია ჭავჭავაძისა 40 კ. რაფიელ ერისთავისა 40 კ. ნ. ბარათაშვილისა 50 კ., გიორგი წერეთლისა 30 კ. ირაკლი მეფისა 30 კ. ევნატე ნინოშვილისა 30 კ., ჯგუფი ქართველ მწერალთა 75 კ., ჯგუფი თამარ. ვეფხის ტყაოსნის მირთმევა 40 კ. საქართველოს დიდება 1—20 კ. თამარ მეფის დიდი სურათი 1—50 კაპ. პატარა 6 კაპ.

და სხვა ყოველგვარი წიგნები.

მისამართი: ტფილისი, წიგნის მაღაზია „ცოდნა“ სოსიკო მერკვილაძე. (20—18)

Բացւած է ՉՈՐՍ ԱՄՍՒԱՅ բաժանորդագրութիւն

ՀԱՍԿԵՐ

Մանկական պատկերազարդ ամսագիր

1905 Թ. ՍԵՊՏԵՄԲԵՐԻՑ ՄԻՆՉԵՒ ՏԱՐՒԱՅ ՎԵՐՋԸ

Ամսագիրը լոյս է տեսնելու Թիֆլիսում 32—48 երեսանոց մեծադիր գրքոյկներով և հրատարակւելու է հետևեալ ծրագրով

1. Բանաստեղծութիւն՝ արձակ և ոտանաւոր (վէպ, պատմւածք, պատկեր, բեմական գրւածք, պօէմ, բանաստեղծութիւն, առակ և այլ գեղարւեստական երկեր).—2. Կենսագրութիւն.—3. Ճանապարհորդութիւն.—4. Գիտական հանրամատչելի յօդւածներ աշխարհագրութիւնից, պատմութիւնից, բնագիտութիւնից և գիտութեան այլ ճիւղերից.—5. Յօդւածներ գեղարւեստի մասին.—6. Մանր լուրեր և Այլևայլք.—7. Ֆիզիքական փորձեր, խաղեր, շարադներ, ռէբուսներ և զանազան զւարճալիքներ.—8. Թղթակցութիւն մանուկ ընթերցողների հետ.

Ամսագրի նպատակն է ա) ներշնչել մանուկ ընթերցողներին վսեմ զգացմունքներ, արծարծելով նրանց մէջ սէր դէպի մարդը և դէպի հայրենի միջավայրը, բ) տալ նրանց ճիշդ հասկացողութիւններ բնութեան և մարդու մասին, գ) զարգացնել նրանց ճաշակը և դ) ուրախութիւն եւ աշխոյժ մտցնել մանկական կեանքի մէջ.

Ամսագիրը ունենալու է նաև ՄԱՆԿԱՎԱՐԺԱԿԱՆ ԲԱԺԻՆ, որ հրատարակւելու է խառնանիւթ ամսական 16—24 երեսանոց առանձին տետրերով, հետևեալ ծրագրով:

1. Յօդւածներ և ուսումնասիրութիւններ մանուկների ֆիզիքական, մտաւոր և բարոյական կրթութեան զանազան խնդիրների մասին.—2. Նորութիւններ դպրոցական կեանքից և մանկավարժական գրականութիւնից.—3. Մատենախօսութիւն և քննադատութիւն մանկավարժական և մանկական գրքերի.—4. Մանր լուրեր և Այլևայլք.—5. Խորհուրդներ, հարցեր և պատասխաններ.—6 Փոստարկղ.—7. Յայտարարութիւններ.

Այս բաժինը ի նկատի ունի՝ ա) օգնել ծնողներին և առհասարակ մանուկների դաստիարակութեամբ պարապողներին լուսաբանելու ընտանեկան և հասարակական կրթութեան ճշմարիտ նպատակները ու միջոցները ներկայ պարագաներում, երբ հայ ընտանիքը ենթարկւում է անխուսափելի արմատական փոփոխութիւնների, բ) իրար մօտեցնել դպրոցը և ընտանիքը և գ) գործնական ցուցմունքներով դիւրացնել ընտանեկան դաստիարակութեան գործը, մանկական ընթերցանութեան և տնային զւարճութիւնների կազմակերպութիւնը, դաստիարակների և վարժուհիների ընտրութիւնը և այլն.

Չորս ամսւայ բաժանորդագինն է.

ՀԱՍԿԵՐ մանկական բաժինն Թիֆլիսում և Թիֆլիսից դուրս . . 1 ր. մանկավարժական բաժնով . 1 ր. 40 կ.

Արտասահմանում . . . ԵՐԵՔ ֆր. ՉՈՐՍ ֆր.

Խմբագիր-Հրատարակիչ Կատ. Լիսիցեան

Բաժանորդ կարելի է գրւել՝ խմբագրատանը, Թիֆլիս, Բեհբութեան փ. № 29, (Редакція журнала „Аскеръ“ կամ Rédaction du journal «Hask-r») և «Գուտտենբերգ» և «Կենտրոնական» գրախանութներում և «Հերմէս» տպարանում. Բաքու, «Сотрудникъ» գրախանութում.

[illegible]